საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 36
(11 493)

11 – 14 მაისი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



6

## როგორ მივიწევდით დიუსელდორფის ტრიუმფისაკენ!

**ამ გუნდმა, 20 წლის წინათ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ჯერჯერობით, განუმეორებელი წარმატება მოიპოვა...**

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



## „ბასკო“ ორგზის ჩემპიონია!

გუშინ დასრულდა ორრაუნდიანი საკალათბურთო ფინალი. ბათუმის „ბასკომ“ მეორე შეხვედრაც მოუგო „სტუ-ჯეოსელს“ 112:78 და ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. პირველი მატჩი თბილისში, როგორც ვიუწყებოდით, „ბასკომ“ 104:74 მოიგო.

მატჩი ბათუმში თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი ტაიმი 16 ქულის სხვაობით მოიგეს 59:43. მე-3 და მე-4 მეოთხედში თამაშის სურათი არ შეცვლილა, „ბასკომ“ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და მატჩი საბოლოოდ 34 ქულით მოიგო, სერია 2-0 და ჩემპიონი გახდა.

ჩემპიონმა ვერცხლის პრიზიორს, ამ გუნდების მეტოქეობის ისტორიაში, 11 მატჩიდან 11-ვე მოუგო.

საქართველოს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. მესამე პრიზიორი, შეგახსენებთ, თბილისის „მაკაბია“. ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ არ დასრულებულა საკალათბურთო სეზონი — საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ელის ივნისში. ჩემპიონისა და ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს საფიქრალი კიდევ ბევრი აქვს. ნაკრები ბულგარელებთან და ბელარუსებთან საპაექროდ მოსამზადებელ შეკრებას ლუბლიანაში გაივლის.

შეხვედრები ბულგარელებთან 3 ივნისს, ბელორუსებთან კი 6 ივნისს თბილისში, სპორტის სასახლეში ჩატარდება.

*ბათუმი. ფაქსით, „ლელოს“ საკ. კორ.*

## ნბა

8




## „ბაიერნი“ – „რეალი“: „სალი-ჰამიჯიჩისა და რაულის „დუეტი“

ჩემპიონთა ლიგა



5

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:
## აგერ ვარ და გამომიყენეთ...

ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კარლოს დუნგამ თავისი კანდიდატურა შესთავაზა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე. დუნგა თვლის, რომ თუ ახლავე არ გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ქვეყნის ნაკრები შეიძლება 2002 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩეს. „ჩვენ ვაგებთ მატჩებს, რომლებშიც ვალდებული ვართ გავიმარჯვოთ“ — განაცხადა დუნგამ.

„ბარსელონა“ ოფიციალურად უარყოფს ხმებს თითქოს ბრაზილიელი ლეგიონერის რივალდოს არგენტინელ კლაუდიო ლოპესზე გაცვლა განიხილებოდეს.

## სლავკოვი მეხუთედ აირჩიეს...

**გუშინ. ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტად, მეხუთედ, აირჩიეს ივან სლავკოვი. მან დიდი უპირატესობით — 257 ხმა 267 შესძლებლიდან, მოუგო პრეზიდენტობის მეორე კანდიდატს, დიმიტარ ბოზიდაროვს.**

**სლოვკოვი, ამავე დროს, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია.**



**სასტენდო სროლა.** ქაიროში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. დამთვრდა ასპარეზობა „სკიტში“. ვაჟებში და ქალებშიც გამარჯვებულები დამატებით სროლაში გამოვლინდნენ. ***ვაჟები:*** 1. შონ დადოერი (აშშ) — 148 ქ, 2. ენიო ფალკო (იტალია) — 148, 3. მარკო კემპაინენი (ფინეთი) — 147; ***ქალები:*** 1. ზემფირა მეფტახეტდინოვა (აზერბაიჯანი) — 94, 2. ოლგა პარანინა (რუსეთი) — 94, 3. ქრისტინა ვიტალი (იტალია) — 93. ***გუნდური:*** 1. რუსეთი — 209, 2. ჩინეთი — 202, 3. იტალია — 199.



7

## სამორანომ „ქუდი დაიხურა“?

## ფედერაციების რეიტინგი

ჩვენს ქვეყანაში სპორტულ ცხოვრების გამოცოცხლების კვალდაკვალ „ლელომ“ გადაწყვიტა ყოველთვიურად მკითხველებს გააცნოს სპორტული ფედერაციების რეიტინგი, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით. აპრილის რეიტინგი ასე გამოიყურება.




### მილოცვა

აფხაზეთის სპორტკომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ქალბატონ ***ნონა გაფრინდაშვილს.***

**ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალური პირველი მატჩები:** „ამერიკა“ (კოლუმბია) — „ნასიონალი“ (ურუგვაი) 2-0 (0-0); „სანკაეტანო“ (ბრაზილია) — „პალმეირასი“ (ბრაზილია) 1-0 (0-0); „ემელეკი“ (ეკვადორი) — „რივერ პლეიტი“ (არგენტინა) 2-0 (1-0); „დეპორტეს კოსეპსიონი“ (ჩილი) — „ვასკუ და გამა“ (ბრაზილია) 1-3 (1-1). **ამხანაგური მატჩი.** ესტონეთი — ფინეთი 1-1 (0-0).

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 28 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# გოგი თოფაძე ისევ პრეზიდენტია

სპორტის ზამთრის სახეობათა მდგომარეობა ჩვენში საგანგაშო მას შემდეგ გახდა, რაც დიდი საბჭოთა სპორტული ინდუსტრია მოიშალა და ბაკურიანმა უნიკალური საკავშირო სპორტული ცენტრის სტატუსი დაკარგა. სად რა დარჩა გაუყიდავ-გაუსხვისებელი, რომ ბაკურიანში რამე დარჩენილიყო. ის კი არა, მიწის ის ფართობებიც გასხვისდა, სადაც სათხილამურო ტრასები თუ საბაგირო გზები გადიოდა. ჰოდა, ახლა მიწის მეპატრონეები საბაგირო გზის მათ ტერიტორიაზე გავლისთვის შემოსავლის წილში ჩაჯდომას ითხოვენ. ესეც თქვენი ქართული ბიზნესის უნიკალური სახეობა.

მოკლედ, ბაკურიანი კერძო საკუთრებამ ერთგვარად დაამშვენა, მაგრამ დიდი სპორტისთვის ის უკვე გამოუსადეგარი გახდა პრობლემ...ა და მიზეზთა გამო. რა არ ილონა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციამ და პირადად მისმა პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ, რომ ბაკურიანისთვის ძველი შინაარსი და სახელი დაუბრუნებინა, რამდენჯერმე უცხოელი ინვესტორებიც ჩაიყვანა იქ, მაგრამ სახელმწიფო დონეზე საკითხი ვერა და ვერ გადაწყდა. ეს პრობლემა დღის წესრიგში კვლავ რჩება, ოღონდ, ჯერჯერობით, მასშტაბი შემცირდა. „ლელო" უკვე იუწყებოდა, რომ ავსტრიის ფედერაციამ გამოთქვა მხარში დადგომის სურვილი და სოლიდურ თანხას ჩადებს ძველი უტცს რეკონსტრუქციისთვის და სპორტული და ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

**ამ კვირაში ჩვენი ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ამის შესახებ კიდევ ერთხელ ითქვა. ლაპარაკი იყო აგრეთვე მოახლოებული ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადებაზე და ზოგიერთ პრობლემაზე.**

**ყრილობამ ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ გოგი თოფაძე, გენერალურ მდივნად — გერა აბრამიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად ლევან ახმეტელი, ვახტანგ მიქელაძე, კობა წაქაძე, გიორგი რამიშვილი და ლევან კაჭარავა აირჩია.**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

11 მაისს, 9 საათზე, სასტუმრო შერატონ — მეტეხ პალასში ჩატარდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სპორტის ხელმძღვანელთა სემინარი, რომელიც ეძღვნება ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების და მასში მონაწილეობის საკითხებს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი მწვრთნელები, სპორტული მედიცინისა და სპორტის ფსიქოლოგიის აღიარებული სპეციალისტები.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

## წოდების მინიჭება

**საქართველოში სპორტის განვითარების, ახალგაზრდებისა და მაღალი რანგის სპორტსმენების აღზრდა-მომზადებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიენიჭოთ:**

***ნოდარ ქიქავას*** — ს/ს „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური კრივის სპორტსკოლის უფროს მწვრთნელს;

***თამაზ ფუტკარაძეს*** — მშვილდოსნობაში აჭარის ა/რ-ის მთავარ მწვრთნელს;

***ვაჟა პავლიაშვილს*** — მწვრთნელს სამბოში (მცხეთის რაიონი);

***ნუგზარ ჭეიშვილს*** — მ. კეკელიძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის უფროს მწვრთნელს.

# საუკეთესო სპონსორი აპრილში

აპრილში ნამდვილი სპორტული გაზაფხული დაუდგა ქართულ სპორტს. ახმიანდა დიდი თუ პატარა სპორტული არენები, გაიმართა დიდი თუ ყველასთვის ხელმისაწვდომი მასობრივი შეჯიბრებები. სპორტული ხელმძღვანელების და რიგითი მუშაკების ძალისხმევით, ქვეყნის სპორტულ კალენდარს დაუბრუნდა წლობით მივიწყებული შეჯიბრებები, კომპლექსური ასპარეზობები. ძალიან შევეცადეთ ქართული სპორტის შესამჩნევი გამოცოცხლების ამ პროცესში დაგვენახა ცალკეული ფირმების თუ კონკრეტული ბიზნესმენების წვლილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ამ თვეში არავინ აღმოჩნდა. ყველაფერი, რაც გაკეთდა, სპორტის ოფიციალური სტრუქტურების, ანუ ბიუჯეტის ხარჯზე მოდის ძირითადად. და მაინც, იყო ერთი ბედნიერი გამონაკლისი, რომელიც განსაკუთრებით გამოსაცალკევებელი და აღსანიშნავია. ეს ღონისძიება იმდენად მისასალმებელი იყო, რომ არც გვიცდია გაგვერკვია, ვინ დააფინანსა. მთავარია, რომ იგი ჩატარდა, თანაც არანაირ კალენდარში არ ყოფილა გათვალისწინებული. მხედველობაში გვაქვს მშობლების ზრუნვამოკლებულ, ობოლ ბავშვთა თბილისისა და წყნეთის სახლების აღსაზრდელთათვის მასობრივი სპორტულ-ტურისტულ-კულტურული ღონისძიების გამართვა, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო თბილისის მერიის სპორტის, კლასგარეშე ფიზიკური აღზრდის და ტურიზმის საქალაქო სამსახური.

**სამბო ● ევროპის ჩემპიონატი**

# მოზრდილებმა მხარი ვერ უსწორეს

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ალბენში დამთავრებულ კონტინენტის პირად-გუნდურ ჩემპიონატში ჩვენს მოზარდებს აშკარად მხარი ვერ უსწორეს ხალიჩის გამოცდილმა თანამემამულეებმა და საკმაოდ მორიდებული შედეგებით აღინიშნა მათი გამოსვლები. ქართველ მოჭიდავეთა მიერ მოპოვებულ 16 მედალში ლომის წილი სწორედ ჭაბუკმა ფალავნებმა დაიდეს, რომელთა ანგარიშზე 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალია. ამდენივე ოქროს მედალი, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი მოდის ახალგაზრდებზე, მოზრდილებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით აღნიშნეს თავიანთი გამოსვლები, მაგრამ ბრინჯაო ახალგაზრდა გიორგი შუბითიძეზე მოდის, რომელმაც ჯერ ახალგაზრდებში არავის დაუდო ტოლი 82 კგ. წონით კატეგორიაში, შემდეგ კი, მოზრდილთა შორისაც სცადა ძალა და იქ ბრინჯაო დაიმსახურა 90კგ-ში.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ: კასპელი კახა მამულაშვილი (48 კგ) და ქარელელი გიორგი თორთლაძე (81); ვერცხლის მედლები მოიპოვეს საგარეჯოელმა ალექსანდრე შაქარაშვილმა (56), ფოთელმა ვალერი გიგიბერიამ (60), გორელმა ლევან მარკოზაშვილმა (70), ზესტაფონელმა გიორგი კაკოიშვილმა (75); ბრინჯაო მოიპოვა თბილისელმა გიორგი სენაშვილმა (65); ახალგაზრდებში ოქროს მედლები ხვდათ რუსთაველ გიორგი შუბითიძეს (82) და ყაზბეგელ მძიმეწონოსან ზვიად წიკლაურს, ვერცხლი — საგარეჯოელ ნოდარ მჭედლიშვილს (63), ბრინჯაო — დუშეთელ ლაშა ფეიქრიშვილსა (100) და თბილისელ მერაბ ფანცულაიას (74).

მოზრდილებში ვერცხლის მედალს დასჯერდა ცნობილი მცხეთელი მოჭიდავე არჩილ ჩოხელი (68), ბრინჯაოს მედალი შუბითიძესთან ერთად მოიპოვა მცხეთელმა დავით ლილუაშვილმა (100) და რუსთაველმა მძიმეწონოსანმა ზვიად ჩინჩალაძემ.

ქართველმა სამბისტებმა გუნდურ პირველობებში ჭაბუკებში — მეორე, ახალგაზრდებში — მესამე, მოზრდილებში — მეხუთე ადგილი მოიპოვეს.

**გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ დაწვრილებით გააანალიზა როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობის მიზეზები, კიდევ ერთხელ საჯაროდ დააფიქსირა, რომ სამბო ჩვენი ქვეყნისთვის მედლების მომტანი სპორტის სახეობაა და საყოველთაო ყურადღება-ხელშეწყობა მეტად უნდა იგრძნობოდეს.**

**მძლეოსნობა ● [illegible]**

**რბენის დღე**

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**გოგონები. 100მ:** მ. ინაშვილი — 12,8, ა. ნიკოლაიშვილი — 13,0, ქ. ტყემალაძე — 13,2 (ყველა — თბ); ***200 მ:*** ინაშვილი — 26,4, ლ. თანდელაშვილი — 29,7, თ. მაისურაძე — 30,9 (ყველა — თბ); ***400 მ:*** თ. ესებუა — 1.00,5, ტყემალაძე — 1.02,5 (ორივე — თბ), თ. გარსევანიშვილი (ახალც) — 1.18,5; ***800 მ:*** მ. გვარამაძე (ახალც) — 2.27,6, ს. გობოზოვა (ჭიათ) — 2.29,3, ნ. თათრულაიძე (ახმეტა) — 2.29,7; ***1500 მ:*** მ. გუთანაიძე (ახმ) — 5.31,9, ნ. გელაშვილი (ბორჯ) — 5.41,2, ლ. შერაზადაშვილი (ახმ) — 5.52,1; ***300 მ:*** ს. ლაბაძე (ახალც) — 11.10,4, თ. გუთანაიძე (ახმ) — 11.22,9, გელაშვილი — 11,43,6; ***სიგრძე:*** ნ. ჯანელიძე — 5.25, ი. ხოროშევა — 4.96, ნ. მექვაბიშვილი (სამივე — თბ) — 4.76; ***ბირთვი:*** მ. ქევხიშვილი (გარდ) — 12.73, ნ.ელიზბარაშვილი (თბ) — 9. 72, ს. ადეიშვილი (სამტრ) — 9.57.

**ვაჟები:** ***100 მ:*** ლ. გაბუნია — 11,7, ა. შავიშვილი — 12,0, გ. ამირანაშვილი (სამივე — თბ) — 12,2; ***200 მ:*** ზ. წერეთელი — 23,1, გ. ჯიგილიანი — 23,8, ა. კირვალიძე (სამივე — თბ) — 25,2; ***400 მ:*** წერეთელი — 53, 3, გ. ცინცაძე (თბ) — 56,7, შ. გიორგაძე (ახალც) — 59,2; ***1500 მ:*** ი. ქაბინი (ახალც) — 4.26,6, ი. ნიკოლეიშვილი (ვანი) — 4.47,4, ვ. მელაშვილი (საგარ) — 5.04,9; ***3000 მ:*** კ. ნებაძე (ახალც) — 9.59,7, შ. რაინაული 10.46,6, გ. ბაკურაძე (ორივე — ახმ) — 10.58,1; ***ბირთვი:*** მ. ტუღუში (ოზურგ) — 17.23, ზ. გოგია (მარტვ) — 16.16, ბ. აბრამიანი (თბ) — 12.69.

**თბილისის მოსწავლეთა I სპორტული თამაშები**

# ერთი მწვრთნელის მონოპოლია

100 და 64 უჯრიან შაშში დედაქალაქის ხუთივე დაწყვილებული რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გუნდურ პირველობაში უძლიერესის სახელი ისანი — სამგორის მოშაშეებმა მოიპოვეს, მეორე იყო — დიდუბე-ჩუღურეთის, მესამე — გლდანი — ნაძალადევის ნაკრები. დაფების მიხედვით საუკეთესო შედეგები აჩვენეს: ალეკო არდაზიშვილმა (31-ე სკ, IX კლ), თამუნა ბროლაძემ (143-ე სკ; VII კლ), ლევან კენჭაძემ (154-ე სკ; VIII კლ.), სოფიკო ხაჩატუროვამ (84-ე სკ. VIII კლ). ამ მოსწავლეებმა ყველა პარტია მოიგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 154 სკოლის XI კლასელ მარიკა ბაჯაურის წარმატება ჭაბუკების დაფაზე. პირველად მონაწილეობდა შეჯიბრებაში უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის VI კლასის მოსწავლე, I ჯგუფის ინვალიდი ილია გოგოლაძე. კიდევ ერთი ნიუანსი: 4 პარტიიდან 3 ქულა მოაგროვა 130-ე სკოლის V კლასელმა რეზო კიკნაძემ, რომლის მშობლები ადრე საქართველოს ჩემპიონები იყვნენ. ბოლოს კი მთავარი: გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს ერთი დამრიგებელი ჰყავს — ცნობილი მწვრთნელი ზიტა დანელიანი.





*მარცხენა ფოტოზე: I და II ადგილებზე გასული გუნდები. შუაში — მწვრთნელი ზიტა დანელიანი; მარჯვენა ფოტოზე: III ადგილზე გასული გუნდი.*

# როგორც იქნა, იარაღი აჟღარუნდა




*მარცხნიდან: დ. მთვარელიძე, კ.მაღრაძე, გ. ჩხაიძე, და ნ. ბახსოლიანი.*

*როინ ბაძღაძის ფოტო*

თამაშებში მონაწილეთაგან სპორტის ცალკეულ სახეობებში დედაქალაქის ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების შერჩევაა ამ კომპლექსური ასპარეზობის ერთ-ერთი მიზანი. ნაკრები გუნდები კი წლეულსვე, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში იასპარეზებენ, რომელიც, სხვათა შორის, 10 წელიწადია აღარ ჩატარებულა.

მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ვაკე-საბურთალოს, მთაწმინდა-კრწანისის, ისანი — სამგორის, დიდუბე — ჩუღურეთის და გლდანი — ნაძალადევის რაიონების 100-მდე წარმომადგენელი ჩაება. მოასპარეზეებს სპორტის დეპარტამენტის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა, ორგანიზაციული ხელმძღვანელობა კი მერიის ოლიმპიური რეზერვის, ფარიკაობის სპორტსკოლას ჰქონდა დავალებული.

**კვარცხლბეკი.** ***ხმალი:*** 1. კ. მაღრაძე, 2. დ. მთვარელიძე (ორივე — ვაკე), 3. გ. ჩხაიძე (მთაწმ) და ნ. ბახსოლიანი (ვაკე). აღსანიშნავია, რომ ოთხივე მოფარიკავის მწვრთნელია თ. კაკულია. ***რაპირა. გოგონები:*** 1. ნ. კობიაშვილი (ვაკე), 2. გ. ჩაბრაძე (დიდუბე), 3. ლ. ძნელაძე (ვაკე) და ს. ისაშვილი (დიდუბე); ***ჭაბუკები:*** 1. ა. მაჩაიძე (სამგ), 2. კ. ქემოკლიძე, 3. რ. ლომიძე და ზ. ფერაძე (სამივე — დიდუბე); ***დაშნა. გოგონები:*** 1. ქ. სილაგაძე (მთაწმ), 2. ნ. მაღრაძე (ვაკე), 3. ნ. ხრიკინა და მ. გაგიევა (ორივე — ნაძალადევი); ***ჭაბუკები:*** 1. გ. სილაგაძე (მთაწმ), 2. ზ. ლანჩავა (ვაკე), 3. მ. მახაშვილი (ნაძალადევი), ***გუნდური:*** 1. ვაკე — საბურთალო — 191 ქულა, 2. დიდუბე — ჩუღურეთი — 146, 3. ისანი — სამგორი — 93, 4. გლდანი — ნაძალადევი — 83, 5. მთაწმინდა — კრწანისი — 50.

**ც. ბაქრაძე**




საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია 18, 19, 20 მაისს მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლეში ატარებს ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსს სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში

## «კავკასიის თასი» 2001

***მონაწილეობენ:*** საქართველოს, ავსტრიის, გერმანიის, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის საუკეთესო მოცეკვავე წყვილები. ***დასაწყისი*** 11 და 17 საათზე.

# ნონა – 60

### ნონა გაფრინდაშვილის ფესტივალზე

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული ფესტივალი. იგი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება მოყვარულების, პროფესიონალებისა და ჭადრაკის ვარსკვლავების მონაწილეობით.**

### ნონა: + 10 –1 = 2

დიდად საინტერესო გამოდგა სახელოვანი დიდოსტატის ერთდროული თამაშის სეანსი 13 დაფაზე (ცამეტს ნონა ბედნიერ რიცხვად თვლის, რადგან ორჯერ გამარჯვება ტურნირებში ასპროცენტიანი შედეგით, მოიგო ყველა 13 პარტია). ნონა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ თამაშობდნენ ცნობილი მსახიობები, განთქმული სპორტსმენები, პარლამენტარი.

ნონამ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებს მეტად ლმობიერად ეპყრობოდა, მაინც მოიგო 10 პარტია. აი, ერთი კი წააგო — პარლამენტარ კობა დავითაშვილთან, რომელმაც მას, თვით დიდოსტატის სიტყვით, საინტერესო სადებიუტო სიახლე შესთავაზა, თავიდანვე უპირატესობა მიიპყრო და...

ნონამ ყაიმი შესთავაზა მოკრივე გიორგი კანდელაკს, დასაწყისში უარიც კი მიიღო, მაგრამ ბოლოს მოწინააღმდეგეები მაინც დაზავდნენ. ასეთივე შედეგით დასრულდა შეხვედრა კოტე მახარაძესთან.

### შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა...

**... ტურნირი ეწოდა 34 მოჭადრაკის ასპარეზობას შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად. თამაშობდნენ მსახიობები, მეცნიერები, ჟურნალისტები...**

**პირველი-მეორე ადგილები 5,5-5,5 ქულით გაიყვეს ოსტატმა გივი გამრეკელმა და კობა მესტიაშვილმა, მესამეზე კი თენგიზ გვარჯალაძე გამოვიდა.**

**გამარჯვებულებმა საჩუქრად მიიღეს ნონა გაფრინდაშვილის რჩეული პარტიების მშვენივრად გაფორმებული კრებული, რომელშიც, სახელოვანი მოჭადრაკის მდიდარი შემოქმედებაა წარმოდგენილი.**

### 6:4

ფესტივალის პროგრამით ერთმანეთს 10 დაფაზე შეხვდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივრესიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები.

პირველ დაფებზე უპირატესობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მოჭადრაკეებმა მიაღწიეს. ამ უნივერსიტეტის პრორექტორმა ანზორ ხელაშვილმა მოუგო ოსტატ ზურაბ მიქაძეს, ოსტატმა გივი გამრეკელმა — საერთაშორისო კლასის ოსტატს... ჩოგბურთში ლეონიდე მძინარიშვილს, ოსტატმა მერაბ თხელიძემ — მიხეილ ზვიადაძეს. ეს უკვე 3:0 იყო, საბოლოოდ კი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ნაკრებმა სძლია ტრადიციულ მოწინააღმდეგეს ანგარიშით 6:4.

### ყველა ვარსკვლავი

**ასე ეწოდებოდა დიდ თეატრალიზებულ შოუს, რომელიც მსოფლიო პირველობის მატჩების ორგზის მონაწილეს, განთქმულ დიდოსტატ ნანა ალექსანდრიასა და ტელეკომენტატორ თამარ ბალავაძეს მიჰყავდათ. ვინ აღარ მონაწილეობდა ამ საინტერესო სანახაობაში — ქართული საჭადრაკო ელიტის ყველა თაობის წარმომადგენელი: ნანა იოსელიანი და ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ გიორგაძე და თამარ ხმიადაშვილი, გია გიორგაძე და ნინო ხურციძე, ნინო გურიელი და ზურაბ სტურუა, ბაადურ ჯობავა და ნანა ძაგნიძე, გიგა ყაჭეიშვილი და ანა მათნაძე, მიხეილ მჭედლიშვილი და ლელა ჯავახიშვილი...**

**ყველამ მხურვალედ მიულოცა ქალბატონ ნონას სახელოვანი იუბილე.**

**შაბათს კი თბილისს იუბილეში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ეწვევა ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი.**

**ზეიმი გრძელდება...**

### ნონა გაფრინდაშვილის „რჩეული პარტიები“

სწორედ რომ საჭირო მომენტში გამოვიდა მსოფლიოს ხუთზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის ახალი წიგნი „რჩეული პარტიები“.

შესაძლოა, აქ წარმოდგენილ 206 შესანიშნავ პარტიას გულშემატკივარი ისედაც მშვენივრად იცნობს, მაგრამ მაინც სხვაა მათი ერთობლივობაში განხილვა, თანაც ავტორისეული კომენტარით.

პირველ ნაწილში, რომელსაც „სრულყოფის გზით“ ჰქვია, ნონა გაფრინდაშვილმა შეიტანა ქალების წინააღმდეგ ნათამაშევი პარტიები. აქ დიდი ყურადღება ეთმობა მატჩებს მსოფლიო პირველობაზე, შეხვედრებს ელისაბედ ბიკოვასთან, ალა კუშნირთან, ნანა ალექსანდრიასა და მაია ჩიბურდანიძესთან. აგრეთვე, მრავალრიცხოვან პრეტენდენტთან.

ძალიან საინტერესოა მეორე ნაწილი „ვაჟების პირისპირ“. აქ უშუალო თხრობაა იმ შეხვედრების შესახებ, რომელიც ავტორს, პირველ ქალს, ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება რომ მიიღო, ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მოჭადრაკეებთან. მესამე ნაწილში „მინიატურები“ მკითხველი გაეცნობა ნონას სწრაფ გამარჯვებებს, თუმცა მეტოქეები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონები და ცნობილი ოსტატები იყვნენ.

ამ მშვენიერი წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა საქველმოქმედო ფონდ „გამარჯვებისა“ და მის პრეზიდენტ ბატონ ბადრი პატარკაციშვილის თანადგომით.

**ბივი თორელი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატის წინ

# ბათუმში შეკრებიდან – სტამბოლის ხალიჩაზე

**დღეს სტამბოლში იწყება ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩვენმა ნაკრებმა ამ ჩემპიონატის წინ საწვრთნელი შეკრება ბათუმში გაიარა. თურქეთში გამგზავრებამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას ესაუბრა „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში ოთარ მურვანიძე.**



***● ბატონო ბეგი, რატომ მაინცდამაინც ბათუმი აირჩიეთ შეკრების ადგილად?***

— აჭარის ხელისუფლების კეთილმოსურნე დამოკიდებულება, საერთოდ, სპორტისადმი, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. შეკრებისთვის აქ იდეალური პირობები შეგვიქმნეს, ჩვენც ეს გვინდოდა, კლიმატიც ხელსაყრელია. ჩინებულად გვიმასპინძლა სასტუმრო თანამგზავრმა და პირადად თევრად თურმანიძემ.

***● შარშანდელი შედეგებით კმაყოფილი ხართ?***

— ყოველ შემთხვევაში, მთლად უკმაყოფილო არა ვარ. მთავარი მაინც ოლიმპიადა იყო, ბათუმელმა მუხრან ვახტანგაძემ, სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ ყველაზე მეტად გვასახელეს სიდნეიში — მესამე პრიზიორები გახდნენ. მეორე ოლიმპიელი, ბათუმელი გენადი ჩხაიძე მეხუთე იყო.

***● ვინ იასპარეზებს ჩვენს ნაკრებში სტამბოლში?***

— ესენი არიან: თბილისელი ირაკლი ჭოჭუა (58 კგ), ბათუმელები — ალექსანდრე კუნჭულია (54) და მუხრან ვახტანგაძე (85), სამტრედიელი — აკაკი ჩაჩუა (63), გარდაბნელი — ალექსანდრე დოხტურიშვილი (69), ქუთაისელი გიორგი ჯინჭველაშვილი (76), თერჯოლელი მირიან გიორგაძე (130), 97 კგ წონაში ორი კანდიდატი გვყავს: გენადი ჩხაიძე და თბილისელი რამაზ ნოზაძე. ორივეს მცირე ტრავმა აწუხებს, თუ რომელი გავა ხალიჩაზე, სტარტის წინ გადავწყვეტთ.

***● ვისთან მოგიწევთ ბრძოლა, რომელი ქვეყნების ფალავნები ჩავლენ სტამბოლში?***

— დანამდვილებით ვერ გეტყვით, რამდენი ნაკრები იასპარეზებს. ის კი ვიცი, რომ მედლებისთვის ძირითადად რუსეთის, თურქეთის, უკრაინის და, ცხადია, საქართველოს ათლეტები იბრძოლებენ. დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აჭარის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ჯემალ ბაკურაძეს, მწვრთნელებს ზაზა ჯიბლაძეს, გელა ჯანელიძეს, ილია ტუღუშს, ნუკრი ჩანჩიბაძეს, რომლებმაც დიდად შეგვიწყვეს ხელი ჩემპიონატისთვის მომზადებაში.

# მესამე ეტაპი იან სვორადამ მოიგო

„დიუნკერკის ოთხი დღე“ — ამ სახელწოდებით მიმდინარე მრავალდღიანი რბოლის მესამე ეტაპი (დიუვრენიდან ლანდრესამდე) გუშინ ჩეხმა იან სვორადამ მოიგო. მეორე იყო იტალიელი ენდრის ლეონი, მესამე — სლოვენიელი ზორან კლემენჩიჩი.

* * *

● 2001 წლის „ჯირო დ'იტალიის“ შეჯიბრებაში 20 გუნდი იასპარეზებს. სუპერმრავალდღიანი პირველი რბოლა სტარტს 19 მაისს აიღებს.





გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 56 წლისთავს მიეძღვნა თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის მიერ 9 მაისს, გამარჯვების პარკში ჩატარებული მასობრივი სპორტული ღონისძიებები. 1500-მდე მოზარდი მონაწილეობდა მძლეოსნურ გარბენებში, მინიფეხბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ხოლო სპორტულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში – საჩვენებელ გამოსვლებში (ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები).

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:



*იან სვორადა*

### „პარიზი ოკუპირებულია „მაკაბის“ მიერ“

ასეთი ლოზუნგი გამოაკრეს გუშინ ეიფელის კოშკზე პარიზში ჩასულმა ებრაელმა გულშემატკივრებმა. როგორც ცნობილია, დღეს, 11 მაისს, აქ იწყება „ოთხთა ფინალის“ პირველი შეხვედრები. პარიზის პოლიციას ერთსაათიანი ჯაფა დაადგა ეიფელის კოშკზე გაკრული „მშვენების“ მოსახსნელად. სხვათა შორის, თუ ამ ტურნირს ებრაელები მოიგებენ, სადაზღვევო კომპანიიდან გუნდი მილიონამდე დოლარ პრემიას მიიღებს.

**ბრალდება.** ჩელიაბინსკის პროკურატურამ ბრალდება წაუყენა ორ ახალგაზრდას, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან მაგნიტოგორსკის „მეტალურგის“ ჰოკეის კლუბის მეკარის მკვლელობაში.



*მილერი*

### ნბა-ს საუკეთესო ახალბედა

მაიკლ მილერი „ორლანდოდან“, გუშინ, ოფიციალურად აღიარეს მიმდინარე სეზონში ნბა-ს საუკეთესო ახალბედად. 124 შესაძლებლიდან მილერმა 75 ხმა მიიღო.

# იმედი და პერსპექტივა

**საერთაშორისო ამხანაგური მატჩები**

9 მაისი. ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო"

**საქართველო — აზერბაიჯანი 1–0**

ეროვნული ნაკრებები

**საქართველო:** ზოიძე (ხმელიძე 46), ლევან სილაგაძე, შაშიაშვილი (გოგობერიშვილი 55), აბრამიძე (ჭანკოტაძე 46), თოდუა, ქემოკლიძე (გუჩუა 46), დიდავა, საჯაია (მახვილაძე 46), იონანიძე, აშვეთია (ლაშა ნოზაძე 66), ლ. მელქაძე (გ. ყიფიანი 46).
**აზერბაიჯანი:** ჰასან-ზადე, იადულაევი, იუნუსოვი, იბრაჰიმოვი (ქერიმოვი 6), რ. მამედოვი, ფ. მამედოვი (ს. ალიევი 67), ყურბანოვი, ტაგი-ზადე, რზაევი (რახმანოვი 62), ორუჯევი, ისმაილოვი (მუსაევი 78).
***გოლი:*** 1-0 იონანიძე (61).
***გააფრთხილეს:*** რ. მამედოვი, ქემოკლიძე, ტაგი-ზადე, გუჩუა.
***მსაჯები:*** მერაბ მალაღურაძე, ზურაბ დოლიძე, გურამ ჩიგოგიძე, ლევან მიქელაძე.
***დელეგატი:*** ანატოლი მილჩენკო (ყველა — საქართველო).

ქართულ-აზერბაიჯანული სამსერიანი შერკინება ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრით დასრულდა. ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ მატჩებისადმი, მაგრამ ნებისმიერ თამაშს ამ დონეზე ხომ დიდი სარგებლობა მოაქვს. ქართველმა გულშემატკივარმა სამ დღეში სამი ნაკრების მატჩი იხილა და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მიეცა. რამდენად პერსპექტიულია თითოეული მათგანი, დრო გვიჩვენებს. ეროვნულ ნაკრებთა მატჩი ქუთაისში ქართველთა შეტევებით დაიწყო. მე-10 წუთზე იონანიძემ ანგარიშის გახსნის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან. მისი დარტყმული ბურთი მინდორზე გართხმულმა ჰასან-ზადემ ფეხით მოიგერია. 23-ე წუთზე თოდუამ 70 მეტრიანი რეიდი საკუთარი საჯარიმოდან წამოიწყო, რამდენიმე მცველს გასცდა, ბურთი მელქაძეს გადააწოდა, მაგრამ თავდამსხმელი უზუსტო იყო კარში დარტყმისას. აზერბაიჯანელებმა მხოლოდ 32-ე წუთზე მოსინჯეს ზოიძის მზადყოფნა. თამაში ძირითადად სტუმართა საჯარიმოსთან მიმდინარეობდა, თუმცა ტაიმის ბოლოს გარკვეული თანაფარდობა შეინიშნებოდა. ისმაილოვმა აბრამიძეს აჯობა, საჯარიმოში შეიჭრა, ორუჯევი მოძებნა, მაგრამ მან ზუსტად ველარ დაარტყა.

მეორე ტაიმში გუნდებში ცვლილებები მოხდა. საქართველოს ნაკრებში შვიდი ფეხბურთელი შევიდა თამაშში. ძოძუაშვილმა და ყიფიანმა ყველას მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. მწვრთნელებს ყველაზე მეტად ნაკრების ერთადერთმა ლეგიონერმა, მეკარე ხმელიძემ გაუმართლა. თუმცა, ამაზე ქვემოთ. მატჩი ნელ ტემპში მიმდინარეობდა, ორივე ნაკრების თამაშში საკმაო იყო ხარვეზები, ამასთან, ქართველთა თავდასხმა უფრო ქინიანად ირჯებოდა, ყველაზე აქტიურმა იონანიძემ თავისი გოლი მაინც გაიტანა. 61-ე წუთზე აშვეთიამ ჯარიმიდან ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა, იონანიძემ მეკარეს ორთაბრძოლა მოუგო, ბურთი გაისწორა და ცარიელ კარში მყისიერად გადაგზავნა. გოლმა მასპინძლები დაამშვიდა, სტუმრები კი, პირიქით, გააქტიურა. ჯერი ქართული გუნდის დებიუტანტ მეკარეზე მიდგა. ხმელიძემ ნდობა გაამართლა. ჯერ ტაიმის დასაწყისში უკუაგდო კუთხურზე სახიფათოდ დარტყმული ბურთი, ბოლოს კი ზედიზედ სამჯერ აუღო პირისპირ გასულ მეტოქეებს ბურთი და ნაკრებს უპირატესობა შეუნარჩუნა. საქართველოს ნაკრებმა წლეულს მეორე ამხანაგური მოიგო. მწვრთნელებმა კი ახალი ფეხბურთელების ნახვა და შემოწმება შეძლეს. აქ უადგილოა იმაზე ლაპარაკი, რამდენი მათგანი მიიღებს მონაწილეობას შესარჩევ მატჩებში იტალიასთან და უნგრეთთან, მთავარია, ნაკრების უახლოესი რეზერვი ვნახეთ. სამუშაო და დასახვეწი მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც ბევრი აქვთ. მეზობლური სერიალი კი ქართველების სრული გამარჯვებით დასრულდა.

თბილისში, 17-წლამდელთა მოგებას, ქუთაისში 19-წლამდელთა გამარჯვება მოჰყვა, ყოველივეს წერტილი ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაუსვა.

**ქუთაისი. 9 მაისი. სტადიონი „ტორპედო" • საქართველო—აზერბაიჯანი 2–1 • 19-წლამდელთა ნაკრები**

**საქართველო:** ჭრიკიშვილი, ხარბედია, მამფორია, გუშარაშვილი, ციმაკურიძე (ღუჭაშვილი 46), ფეიქრიშვილი, ლომიძე, ქოქიაშვილი (კუპრეიშვილი 82), მჭედლიძე (ბუჯიაშვილი 30), მოდებაძე (მანჯარაული 73), ცერცვაძე (კოპალიანი 71).
**აზერბაიჯანი:** ალიევი (ზეინალოვი 88), აბდურახმანოვი, ნამაზოვი, სალიმოვი (კიტელმანი 82), ასტანოვი (ნურმამედოვი 84), რ. სადიგოვი, სადიხოვი, შახბაზოვი (იუსუპოვი 67), ს. სადიგოვი (ფარხადოვი 71), ჰუსეინოვი, ფაშაევი (ადილოვი 60).
***გოლები:*** 0-1 სადიხოვი (38 პ), 1-1 ქოქიაშვილი (70), 2-1 მანჯარაული (87).
***გააფრთხილეს:*** ლომიძე, ჰუსეინოვი, ასტანოვი, მოდებაძე, რ. სადიგოვი.
***მსაჯები:*** ხ. მამედოვი (აზერბაიჯანი), კ. გაბრიაძე, ლ. მიქელაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა — საქართველო).

გელა გომელაურის შეგირდებმაც გაგვახარეს. სასიამოვნოა, ქართველი ჭაბუკების შემართება. მათ დაწინაურებული მეტოქის წამოწევა შეძლეს. თამაში და ანგარიში გაათანაბრეს. მატჩის ბოლოს კი გამარჯვებისა გაიტანეს და მოიგეს. ქუთაისი და სტადიონი „ტორპედო" საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. მოკლედ, შედეგი დამაიმედებელია. ერთ დღეში ორი გამარჯვება ურიგო ნამდვილად არაა.

## ნიგნის თარო

ცნობილმა ავტორმა დემიკო ლოლაძემ კიდევ ერთი წიგნით გაახარა ფეხბურთის ქომაგები. ამჟამად დაისტამბა მისი ახალი კრებული „ვიტალი დარასელია". წიგნში თავმოყრილია ამ შესანიშნავ ფეხბურთელზე ადრე გამოქვეყნებული თუ საგანგებოდ დაწერილი წერილები, უხვადაა ილუსტრირებული, როგორც ვიტალი დარასელიას დაუვიწყარი სათამაშო ეპიზოდებით, ისე მეგობრული შარჟებით და ნახატებით.

წიგნს წამძღვარებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შემდეგი სიტყვები: „ვიტალი დარასელია არა მარტო აფ-




ხაზეთის, არამედ ერთიანი, მთლიანი საქართველოს ღირსეული შვილი გახლდათ. მან შორს გაუთქვა სახელი ჩვენს ფეხბურთს.

ვიტალი დარასელიას სახელს დავიწყება არ უწერია".

352 გვერდიანი ეს წიგნი დაიბეჭდა ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობაში და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" ისტორიული გამარჯვების 20 წლისთავს ეძღვნება.

## უმაღლესი ლიგა, VIII ტურის ანონსი

**ერთმა კვირამ** მალე გაირბინა და ქართული საფეხბურთო პაექრობები ისევ გრძელდება. დღეს და ხვალ მერვე ტურია. წინა ტურის მატჩებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ფინიშის სწორზე ჩემპიონის გამოცნობა ადვილი სულაც არაა.

ლიდერებს გასვლითი მატჩები აქვთ. „ტორპედო" თბილისში მოდის „მერანთან" სათამაშოდ, თბილისის „დინამო" ფოთში ჩავა და „კოლხეთს" შეერკინება, „ლოკომოტივი" მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" ეწვევა. ვის ექნება უპირატესობა, ძნელი სათქმელია. თუ „კოლხეთს" და „მერანს" სატურნირო ცხრილში დაწინაურების საშუალება დიდი ხანია აღარ აქვთ, მოწინავე ოთხეულს, წინ ნაბიჯის გადადგმის კარგი შანსი ეძლევა. მოიგებს „ტორპედო" და მისი ოთხქულიანი უპირატესობა ხელუხლებელი დარჩება, თუ მეტად არ გაიზარდა. „ლოკომოტივმა" შელახული პრესტიჟი უნდა აღიდგინოს, თორემ დარჩენილ ორ ტურში უშუალო კონკურენტებთან მოუწევს ჰიდილი და გუნდის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, რთული ამოცანის წინაშე დადგება, წაფორხილების შემთხვევაში შეიძლება საპრიზო ადგილიც სანატრელი გაუხდეს. „დინამოს" ჩემპიონის ტიტულის დაბრუნების შანსი კიდევ აქვს და, ახალგაზრდა შემადგენლობის მიუხედავად, გამოცდილ მეტოქეებს ტოლსწორად ეთამაშება. „ვიტ ჯორჯიას" წარმატების შემთხვევაში რკინიგზელებთან მიახლოება შეუძლია. მოკლედ, გასარკვევი და იმედია, სანახავიც ჯერ ბევრია.

ქვედა ექვსეულში, ერთი ტური მაინც, მშვიდად ყოფნის უფლება მხოლოდ ბათუმის „დინამოს" და „სიონს" აქვთ. სწორედ ეს კლუბები შეხვდებიან ერთმანეთს, დღეს ბათუმში. დანარჩენებს ოფლის ღვრა კიდევ მოუწევთ (იბერიის გარდა), რომელიც გორის „დილას" მასპინძლობს. თსუ-სა და „გორდას" მატჩი ორივესთვის გადამწყვეტია, განსაკუთრებით სტუდენტებისათვის, რომელთა შემდგომ, ორ ტურში მძიმე მატჩები ელით ბოლნისში და ბათუმის „დინამოსთან" შინ. „გორდას" შედარებით უკეთესი კალენდარი აქვს, მას „დილასთან" და „იბერიასთან" უწევს თამაში.

**I–VI ადგილები**
***12 მაისი***
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
კოლხეთი1913 — დინამო (თბ)
მერანი-91 — ტორპედო

**VII–XII ადგილები**
***11 მაისი***
იბერია — დილა
თსუ — გორდა
დინამო (ბთ) — სიონი

## გათამაშების ცხრილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 38 |
| დინამო თბ | 7 | 2 | 4 | 1 | 11-7 | 34 |
| ლოკომოტ. | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 30 |
| კოლხ.-1913 | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 23 |
| მერანი-91 | 7 | 1 | 2 | 4 | 1-11 | 18 |

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 7 | 3 | 3 | 1 | 8-3 | 26 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 24 |
| დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 13-6 | 19 |
| გორდა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 19 |
| თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 7-14 | 19 |
| იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 5-19 | 3 |

**ფეხბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**
1-2 ივნისს საქართველოსა და იტალიის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა მატჩებზე აკრედიტაციისთვის გთხოვთ 15 მაისამდე წერილობით მიმართოთ სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას. ტელეფონი: 25-01-16, ფაქსი: (822) 00-11-28.

**საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

### მსაჯები და ინსპექტორები

***იბერია — დილა.*** მთავარი მსაჯი — ფანიაშვილი, ასისტენტები — ჩოჩიშვილი, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი.
***თსუ — გორდა.*** მთავარი მსაჯი — კრიჭაშვილი, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.
***დინამო (ბთ) — სიონი.*** მთავარი მსაჯი — კვარაცხელია, ასისტენტები — მიქელაძე, გაბრიაძე, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — გ. ძამუკაშვილი.
***ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი.*** მთავარი მსაჯი — მესხი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.
***კოლხეთი 1913 — დინამო (თბ).*** მთავარი მსაჯი — შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.
***მერანი-91 — ტორპედო.*** მთავარი მსაჯი — სანაია, ასისტენტები — ელიკაშვილი, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

## პირველი ლიგა, VIII ტური

**I–VI ადგილები.** 11 მაისი.
***სამგურალი — გურია-ლოკ2.*** მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე;
***შუქურა — მილანი.*** მთავარი მსაჯი — პ. დოგრაშვილი;
***მეტალურგი — ცხინვალი.*** მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია-ლოკ2 | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 35 |
| მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-4 | 34 |
| სამგურალი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-4 | 32 |
| მეტალურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 29 |
| ცხინვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 26 |
| შუქურა | 7 | 0 | 3 | 4 | 2-10 | 23 |

**VII–XII ადგილები.** 12 მაისი.
***კოლხეთი (ხ) — ოკეანე.*** მთავარი მსაჯი — ორდინიძე;
***ივერია — თბილისი.*** მთავარი მსაჯი — მეშკოვი.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 7 | 5 | 1 | 1 | 14-3 | 29 |
| თორი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 25 |
| ოკეანე | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 22 |
| თბილისი | 7 | 4 | 0 | 3 | 7-6 | 21 |
| ივერია | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 18 |
| დინამო (ზ) | 7 | 0 | 0 | 7 | 0-19 | 12 |



**ბავშვთა ფეხბურთი**

## ერევანში წარმატება ბათუმელებმა იზეიმეს

ერევანში, ბავშვთა გუნდების (ორ ასაკობრივ ჯგუფში) საერთაშორისო ტურნირში მონაწილე 12 გუნდს შორის, აჭარის მოსწავლეთა ნაკრებიც იყო.

1992-93 წლებში დაბადებული მოზარდების პაექრობა, რომელსაც მესამე ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა, „რაზდანის" სტადიონზე გაიმართა. ჩვენი ბიჭუნები არარატელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ, მატჩის დაწყებისთანავე დაეუფლნენ ინიციატივას, დიდი ანგარიშით 3-0 გაიმარჯვეს და ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლნენ (გოლები გაიტანეს მალაზონიამ, თოდაძემ და გოგიტაურმა).

უფრო დამაჯერებლად გამოვიდნენ უფროსი ასაკის ყმაწვილები (1989-1990 წ.წ. დაბადებულნი). მათ ყველა წინასწარი შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, ფინალში გავიდნენ. გამარჯვებული ჩვენი და სომხეთის დედაქალაქის სპეციალიზებული სკოლის წარმომადგენლების შეხვედრას უნდა გამოევლინა. წარმატებას აქაც ქართველმა ჭაბუკებმა მიაღწიეს. ბათუმელი ფეხბურთელები მეტოქეებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. მოწინააღმდეგის კარი კი გიორგი ბერიძემ და ედუარდ საფარიანმა დალაშქრეს 2-0.

საქართველოს ჭაბუკებიდან უმცროს ასაკში საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მოიპოვა მერაბ მამულაძემ, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისა – 8 წლის ვასიკო თევდორაძემ, უფროსთაგან საუკეთესო მეკარედ ბექა ბალაძე სცნეს, მცველის პრიზი გადაეცა თემურ ჩაზმავას, ბომბარდირისა – გიორგი ბერიძეს.

აჭარის მოსწავლეთა ნაკრები ამ შეჯიბრებისთვის მწვრთნელებმა გია ჯორბენაძემ და გია ჩიგოგიძემ მოამზადეს.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლენარტ იუჰანსონს ახალი ვადით სურს პოსტის შენარჩუნება

გუშინ შვედური პრესა იუწყებოდა, რომ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა შეიძლება კიდევ 4 წლით წამოაყენოს ამ პოსტზე თავისი კანდიდატურა. „ყველა ჩემმა კოლეგამ უეფას აღმასკომიდან მირჩია განვაგრძო კარიერა, როგორც პრეზიდენტმა“ — განუცხადებია 71 წლის შვედს.

როგორც ცნობილია, უეფას პრეზიდენტობა სურს მიშელ პლატინისაც. შეგახსენებთ, რომ იუჰანსონი და პლატინი იდეური მეტოქეები არიან, რაც იმითაც დადასტურდა, რომ ფიფას მესაჭის არჩევნებში პლატინიმ მხარი ზეპ ბლატერს დაუჭირა. იუჰანსონი საკუთარ თავს და კოლეგებს იმით ამხნევებს, რომ ფრანგის სურვილი, გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს, თანაც: „პლატინი კიდეც რომ აირჩიონ უეფას პრეზიდენტად, მისთვის იოლი არ იქნება 51 ეროვნული ფედერაციის მართვა“ — დასძენს იუჰანსონი.

## და კოშტა „პორტუში“

გუშინ ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ფრანსიშკუ და კოშტამ. ამ წლის ბოლოდან, როცა მას „მონაკოსთან“ დაუმთავრდება კონტრაქტი, ხუთი წლით თავისი ქვეყნის გუნდში „პორტუში“ გადავა. იქ იგი 1,8 მილიონ ევროს მიიღებს წელიწადში. ეს ფეხბურთელი, რომელმაც 10 მატჩი ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ახლა 27 წლისაა.

## ტიგანა „ფულჰემს“ აძლიერებს

„ფულჰემის“ მწვრთნელი ჟან ტიგანა მზადაა 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინოს „ლიდსის“ მცველი იან ჰარტი. ამასთან, გვარდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელის ტედი შერინგემის გადმობირების საკითხი. მანამდე კონტრაქტი უკვე გააფორმეს „ფულჰემთან“ ჩეხმა ფეხბურთელმა იან კოლერმა და „ნიუკასლის“ მოთამაშემ ჰარი სპიდმა. შეგახსენებთ იმასაც, რომ ადრე „ფულჰემმა“ თვალი დაადგა აგრეთვე რუს მეკარეს რუსლან ნიგმატულინს და თანახმაა ამ გოლკიპერში 1,2 მილიონი ფუნტი გადაიხადოს.

მადა „ფულჰემს“ მას შემდეგ გაეზარდა, რაც კლუბი პრემიერ-ლიგაში გადავიდა. მისმა პრეზიდენტმა მუხამედ ალ ფეიედმა კი ინგლისის უძლიერეს საფეხბურთო კლუბებთან თანაბარი კონკურენცია გადაწყვიტა.

## 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი ბულგარელში

„ლევსკის“ ფეხბურთელს გეორგი ივანოვს, რომელიც ბულგარეთის ჩემპიონატის ბომბარდირია (18 გოლი) და ბოლო მატჩში „ნეფთოხიმიკთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა, ერთბაშად რამდენიმე ცნობილი კლუბი ეპატიჟება. „იფსვიჩი“, მაგალითად, 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, „სარაგოსა“ — 6 მილიონს.

„ჯერ სადაა, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩებში თავს თუ გამოიჩენს, ამ ფეხბურთელის ფასი უფრო აიწევს“ — ამბობს „ლევსკის“ მწვრთნელი ლიუპკო პეტროვიჩი.

## ბრაზილიაში ფეხბურთს კლანები მართავენ

ბრაზილიაში ფეხბურთში შექმნილი პრობლემების შესწავლას პოლიტიკოსებმა მოჰკიდეს ხელი და დაამტკიცეს, რომ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში მართლა ბატონობს კორუფცია და ამ სფეროს კლანები მართავენ. მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსთა კომისიამ დაკითხა ბრაზილიაში დასახლებით მეორე დიდი შტატის მინასე ჟერაისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ელმერ გილმერ ფერეირა. ეს კაცი ბოლო 14 წელიწადი მართავდა შტატში ფეხბურთს, მანამდე 16 წელიწადი კი მამამისი იყო პრეზიდენტი. ფერეირას აღმოაჩნდა 66 თანამშრომელი, რომელთაგან 20 ნათესავია, მათ შორის მამამისი. კომისია ასკვნის, რომ კლანების მმართველობის მსგავსი ფაქტები შეინიშნება ბრაზილიის ოცდაშვიდივე შტატში, ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაცია კი გულგრილია თავისი ფილიალების მიმართ, რომლებსაც მთლიანად გადაულოცა ადგილებზე ფეხბურთის მართვა. „საფეხბურთო კანონები არ კრძალავს ნათესავების სამუშაოზე აყვანას. ყოველთვის ვცდილობდი მემუშავა იმ ხალხთან, ვისაც ვენდობი“ — ამბობს ფერეირა.

## ჩემპიონთა ლიგა
## ნახევარფინალები. საპასუხო მატჩები

### ვალენსია (ესპანეთი) — ლიდსი (ინგლისი) 3-0

**ვალენსია:** კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ალბელდა, მენდიეტა (ანგულო, 73), აიმარი (დეშამი, 70), კილი გონსალესი (ვისენტე 64), კარეუ, ხუან სანჩესი.
**ლიდსი:** მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბეტი, ბაკუ, კიუელი, ვიდუკა, სმიტი.
***გოლები:*** 1-0, 2-0 ხუან სანჩესი (16,47), 3-0 მენდიეტა (52).
***გააფრთხილეს:*** სანჩესი, აიმარი.
***გააძევეს:*** სმიტი.
***მსაჯი:*** ურს მაიერი (შვეიცარია).


სანჩესი

## ხელითაც და ფეხითაც „ვალენსია“ ძლიერია

გახსოვთ მარადონას ხელით გატანილი გოლი ინგლისის ნაკრების კარში? დაახლოებით ამდაგვარი გუშინწინდელ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც მოხდა. განსხვავება ის არის, რომ არგენტინელის ხელით თამაში აშკარად ჩანდა. ვალენსიელი ხუან სანჩესისა კი ზუსტად ვერც ერთმა მსაჯმა და ვერც ვიდეო კამერამ ვერ დააფიქსირა. ასეა თუ ისე, ინგლისელთა პროტესტის მიუხედავად, ხელით, მხარით თუ თავით გატანილი გოლი შვეიცარიელმა არბიტრმა ჩათვალა და „ვალენსიამაც“ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. მატჩის 52-ე წუთისთვის ყველაფერი გაირკვა. „ვალენსია“ შარშანდელივით ისევ ჩემპიონთა ლიგის ფინალშია. გამოცდილებამ თავისი გაიტანა. „ლიდსმა“ დიდი მონდომებისა და მცდელობის მიუხედავად „კუპერის“ ტესტი „მესტალიაზე“ ვერ ჩააბარა. თუმცა, ეს მარცხი მას სულაც არ აკნინებს, პირიქით, ახალგაზრდა ირლანდიელის, ახალგაზრდულმა, ინგლისურმა გუნდმა გრანდებთან ჭიდილში ჩინებული ფეხბურთი აჩვენა, უძნელესი სალიგო გზა განვლო და ნახევარფინალში გააღწია. ექტორ-რაულ კუპერს და მის „ვალენსიას“ მეორე შანსის გამოყენების ჩინებული დრო დაუდგა. გუნდი ძლიერია, შესანიშნავად თამაშობს და როგორც ჩანს, 23 მაისს, მილანში, სან-სიროზე, თუ ვინ იქნება მისი მეტოქე, „რეალი“ თუ „ბაიერნი“, დიდად არც აღელვებს.


ელბერი

### ბაიერნი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) 2-1

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლიზარაზუ, კუფური, ანდერსონი, ჰარგრეივსი, შოლი (სანტაკრუზი 57), სალიხამიჯიჩი, ელბერი (ციკლერი 82), ლინკე, იერემისი (სფორცა 70).
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, მეკელელე, ელგერა, რაული, მაკმანამანი (სავიო 59), კარანკა (მორიენტესი 66), ფიგუ, გუტი.
***გოლები:*** 1-0 ელბერი (8), 1-1 ფიგუ (18), 2-1 იერემისი (34).
***გააფრთხილეს:*** იერემისი, სფორცა, გუტი, ელგერა.
***მსაჯი*** კ-მ ნილსენი (დანია).


იერემისი (№16)

## ელბერმა და „ბაიერნმა“ „რეალი“ განზე დატოვეს

ლაზათიანი ფეხბურთი იხილა მაყურებელმა. მაღალი დონის, გააზრებული თამაში. ისეთი, როცა ფეხბურთელი მოუშუშებელი ტრავმით თამაშობს და იცის, რომ ეს აუცილებელია. ასეთი მოთამაშეები ორივე გუნდში იყვნენ. ამიტომ გამოვიდა უმაღლესი კლასის ფეხბურთი. პროფესიონალიზმის ზეიმი იყო იმ დღეს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე.

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო და თითქმის მატჩის ბოლომდე აღარ შენელებულა. ცეცხლი მასპინძლებმა დაანთეს. შოლს პირველივე შეტევისას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ კასილიასმა თავგანწირული ნახტომით მოიგერია ბურთი კუთხურზე. მერე იყო ელბერის დარტყმა, ამას რამდენიმე იერიში მოჰყვა და... კუთხური. ესპანელთა საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ყველაზე ადრე და უკეთ ელბერი გაერკვა და გერმანელები წინ გაიყვანა. ესპანელებმა, ასე არ უნდაო, ათ წუთში კარლოსისა და რაულის ბრწყინვალე კომბინაცია ფიგუმ ზუსტი დატყმით დააგვირგვინა. გათანაბრდა ანგარიშიც და თამაშიც. „რეალი“ უფრო დიდხანს ფლობდა ბურთს, უტევდა, მაგრამ თამაშის ბოლომდე მეტოქის კარის ბადე აღარ შერხეულა. „ბაიერნმა“ კი ტაიმის მოგება მაინც შეძლო. ერთ ეპიზოდში „რეალი“ დაჯარიმდა. საჯარიმო შოლმა დაარტყა. იერემისს გადააწოდა ბურთი, ამან კი მოულოდნელად კარში გაგზავნა იგი და გაიტანა. მეორე ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად სტუმრები ფლობდნენ. მასპინძლები მეტოქეს კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ, რაც მოახერხეს კიდეც. დასრულდა დიდი გუნდების დიდებული მატჩი. „ბაიერნმა“ ისევ მოუგო „რეალს“ და ლიგის ფინალში გავიდა. ესპანური ფინალი აღარ შედგება. მაგრამ გერმანულ-ესპანური დაპირისპირება კვლავ გრძელდება — ახლა ფინალში.



## განაში 100 გულშემატკივარი დაიღუპა

სულ მცირე 100 გულშემატკივარი დაიღუპა განას დედაქალაქში საფეხბურთო მატჩის დროს. ერთ თვეში ეს უკვე მესამე ტრაგედიაა აფრიკაში. ჭყლეტა დაიწყო ორი მუდმივი მეტოქის „ხარტს ოფ ოაკსა“ და „კუმასი ასანტეს“ შეხვედრის მიწურულს.

## „ფიორენტინაში“ ვილა რჩება?

იტალიელი მიმომხილველების აზრით, „ფიორენტინამ“ მშვენიერი მწვრთნელი რობერტო მანჩინი კი შეიძინა, რომელიც ძალიან უყვართ ტოსკანელ ტიფოზებს, მაგრამ მომავალი სეზონიდან შეიძლება გუნდი ძალიან დასუსტდეს. ვილა დარჩება მანჩინის, ნათელი არ არის. პორტუგალიელმა რუი კოშტამ და განთქმულმა მეკარე ტოლდომ უკვე მტკიცედ გადაწყვიტეს „ფიორენტინას“ დატოვება.

## ქალაქს თავს „ჰაიდუკის“ გულშემატკივრების რისხვა დაატყდა

130 ადამიანი, აქედან 30 პოლიციელი დაშავდა ჭყლეტის შედეგად, ხორვატიის ქალაქ სპლიტში, ქვეყნის თასზე ადგილობრივ „ჰაიდუკსა“ და ზაგრების „დინამოს“ ფინალურ მატჩში.

## ნუ იგინები, პასუხს მოგთხოვენ!

„სტრასბურის“ პრეზიდენტი პატრიკ პრუაზი სამი თვით პირობითად დისკვალიფიცირებულია „არაკორექტული გამოთქმებისათვის“ საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტის მისამართით. იგი აღაშფოთა ამ კომიტეტის გადაწყვეტილებამ „სტრასბურ“ — „მეცის“ მატჩის გადათამაშების შესახებ, ამასთან, „სტრასბური“ 20 ათასი ფრანკითაც დააჯარიმეს.

ეს თანხა ნამდვილად ხუმრობა იქნება იმ დიდ ზარალთან დაკავშირებით, რომელიც „სტრასბურს“ მოელის საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის დატოვების შემთხვევაში. ეს კი უკვე გარდუვალია, „სტრასბური“ ერთ-ერთი აუტსაიდერია, ჩემპიონატი კი უკვე მთავრდება.

## ოთხი წლით „ჰერტაში“

„ანდერლეჰტმა“ 5,7 მილიონ გირვანქა სტერლინგად ბერლინის „ჰერტას“ მიჰყიდა ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი ბარტ გოორი, რომელიც დედაქალაქის კლუბში 1977 წლიდან თამაშობდა. იგი 28 წლისაა, ჩინებულად გამოდიოდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ მატჩებში.




# გიწვევთ გამოფენაზე

2001 წლის 13 მაისს საქართველოს ჟურნალისტთა სახლის საგამოფენო დარბაზში (ერეკლეს მოედანი 3) გაიხსნება ცნობილი ფოტორეპორტიორის **ალექსანდრე კოტორაშვილის** პერსონალური ფოტო გამოფენა, რომელიც ეძღვნება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ ევროპის ქვეყნების თასების თასის მოპოვების 20 წლისთავს.

*დასაწყისი 13 საათზე*



## 20 წლის წინათ, 1981 წლის 13 მაისს, თბილისის «დინამომ» ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა



# გზა მწვერვალისაკენ

დღევანდელი თაობისთვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ის საყოველთაო სიყვარული, რომლითაც სარგებლობდა თბილისის „დინამო“ ნახევარი საუკუნის მანძილზე. გულშემატკივრისათვის „დინამო“ იყო, როგორც ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, მისი წარმატებები ხალხს ახარებდა, წარუმატებლობას კი მტკივნეულად განიცდიდა. „დინამო“ ამ ხნის განმავლობაში ტექნიკური, ლამაზი, გააზრებული თამაშით უზარმაზარ სიხარულს ჩუქნიდა მრავალრიცხოვან ქომაგებს და არა მხოლოდ საქართველოში.

უკვე ბორის პაიჭაძის და ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის თაობამ გაგვანებივრა ლამაზი სანახაობით და წარმატებებით. 50-იანი წლების შუა ხანებში „დინამოს“ ჩავარდნა დაეტყო, რაც გამოწვეული იყო თაობათა ცვლით, მაგრამ ანდრო ჟორდანიას უბადლო სელექციური ნიჭის წყალობით, „დინამოში“ კვლავ გამოჩნდა ნიჭიერ ახალგაზრდათა მთელი პლეადა, რომელიც 1959 წელს სულმნათმა ანდრო ჟორდანიამ დასძრა უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალების დასალაშქრად. შემდეგ მისი დაწყებული საქმე განაგრძო მიხეილ იაკუშინმა და 1964 წელს დააგვირგვინა გავრილ კაჩალინმა. ამ სტრიქონების ავტორიც, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ დაავადდა ფეხბურთის განუკურნებელი სენით. შემდეგ ისევ თაობათა ცვლა და ჩავარდნა 1974-1975 წლების სეზონში. 1976 წლიდან კვლავ ალმაფრენა და მერე როგორი. რაღაც ექვს წელიწადში „დინამო“ არნახულ მწვერვალებს იპყრობს. 1978 წელს იმეორებს 1964 წლის წარმატებას და მეორედ ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორჯერ 1976 და 1979 წელს იგებს საბჭოთა კავშირის თასს, რომელმაც მანამდე მრავალჯერ აქცია ზურგი და ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდია გამარჯვება ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასზე დიუსელდორფში 1981 წლის 13 მაისს. ამ წარმატებების მთავარი სულისჩამდგმელი და მესაძირკვლე იყო გამოჩენილი მწვრთნელი-სტრატეგი ნოდარ ახალკაცი, რომელიც სავსებით დამსახურებულად დასახელდა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად.

1976 წელს ახალმა მწვრთნელმა დაიწყო ახალი გუნდის ჩამოყალიბება. ნოდარ ახალკაცი ამ რთულ საქმეს შეუდგა გუნდის ძირითად ბირთვზე დაყრდნობით: მცველი შოთა ხინჩაგაშვილი, ნახევარმცველი მანუჩარ მაჩაიძე, თავდამსხმელები დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი, მათ დაემატა ახალგაზრდა პერსპექტიული ვიტალი დარასელია, რომელსაც შემდგომში ახალკაცმა ზედმიწევნით ზუსტად მოუძებნა ადგილი ნახევარდაცვაში, დაემატა აგრეთვე ბათუმელი გოლეადორი რევაზ ჩელებაძე. მომდევნო, 1977 წელს გუნდში ქუთაისიდან გადმოიყვანეს ნიჭიერი ახალგაზრდები: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, რამაზ შენგელია, ცოტა მოგვიანებით, თენგიზ სულაქველიძე. ნახევარდაცვიდან დაცვაში მიუჩინეს ადგილი ალექსანდრე ჩივაძეს, რომელიც სულ მალე „დინამოს“ დაცვის ბურჯად იქცა. ასე თანდათანობით იკვრებოდა გადახალისებული გუნდი.

ახალი მწვრთნელის მეთაურობით „დინამომ“ პირველსავე სეზონში, 1976 წელს, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. იმავე წლის 3 სექტემბერს, პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, „დინამომ“ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი – ფინალში დიდი ანგარიშით დაამარცხა ერევნის „არარატი“. საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატზე დინამოელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. წინა ორ ჩემპიონატში ჩავარდნის შემდეგ, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდი ნელ-ნელა იბრუნებდა საკუთარ ხელწერას. შემდეგ სეზონში კლუბმა უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია და ხანგრძლივი შესვენების მერე საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა. გუნდი აშკარად აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ ახალ მწვრთნელს გამოუჩნდნენ ოპონენტებიც. რას იზამ, „უანგარობის და პატიოსნების ერთადერთი საზღაურია უმადურება“, რაც ნოდარ ახალკაცს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, შეიძლება ითქვას, არ დაჰკლებია. კაცს, რომელმაც ქართული ფეხბურთი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, ჩინოვნიკები პირდაპირ სისხლს უშრობდნენ.



ფრაგმენტი მატჩიდან „დინამო“ (თბილისი) – „კარლ ცეისი“ (იენი). ბურთთანაა დავით ყიფიანი

ამ თვალსაზრისით მან სავსებით გაიზიარა თავისი წინამორბედის ანდრო ჟორდანიას ბედი. მართლაც ასე ყოფილა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. 1977 წლის მიწურულს, ერთი მატჩის წაგების გამო, ნოდარ ახალკაცი ამ ოპონენტებმა კინაღამ გაანთავისუფლეს გუნდიდან. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ეს რომ მომხდარიყო. შესაძლოა, შემდეგი წარმატებები აღარც კი ყოფილიყო. პირიქით, დროის გადასახედიდან ისე მეჩვენება, რომ ამ პოსტზე იგი გაცილებით უფრო ადრე უნდა დაენიშნათ – 1974, ან შესაძლოა, 1973 წელს.

მომდევნო, 1978 წელს „დინამო“ უფრო დიდ წარმატებას აღწევს და მეორედ, თავის ისტორიაში, ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ეს იყო ახალკაცის წარმატებების პირველი პიკი საკავშირო სარბიელზე. წინ იყო ახალი სიმაღლეები საერთაშორისო ასპარეზზე და ახალკაცმაც თავის ბიჭებს, ახლა ამ მწვერვალების დაძლევა დაუსახა მიზნად. გუნდი მზად იყო ასეთ რთულ ამოცანას შესჭიდებოდა. ამ მიზნისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა იმხანად ძლევამოსილი „ლივერპულის“ დამარცხება 1979 წლის 3 ოქტომბერს, თბილისში, მშრალი ანგარიშით 3-0 და სახელმოხვეჭილ „ჰამბურგთან“ ღირსეული თამაში. მომდევნო სეზონში „დინამოს“ წარმატებული გამოსვლაც თასის მფლობელთა თასზე ამ გამარჯვებების გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ გუნდი ჩინებულად განაგრძობლდა თამაშს საკავშირო სარბიელზე. 1979 წელს „დინამომ“ მეორედ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი, ხოლო საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც სათავეში ედგა ნ. ახალკაცი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლები მოიპოვა.

ერთი სიტყვით, 1981 წლის წარმატება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და „დინამო“ იმ ტრიუმფალური გამოსვლისათვის ნელ-ნელა, თანდათანობით ემზადებოდა 1976 წლიდან.

როდესაც 1980 წლის შემოდგომაზე „დინამო“ ჩაება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, ალბათ ძალიან ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ეს ტურნირი თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდებოდა. წილისყრამ პირველ მეტოქედ „დინამოს“ საბერძნეთის გუნდი სალონიკის „კასტორია“ არგუნა მატჩი 17 სექტემბერს სალონიკში უშედეგოდ დასრულდა, ორი კვირის შემდეგ, განმეორებითი შეხვედრა თბილისში კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი 0-0 დასრულდა და ბერძენთა შეუპოვარი წინააღმდეგობის გატეხვა „დინამომ“ მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო. ჯერ შენგელიამ, მატჩის მიწურულს კი გუცაევმა ორი გოლი გაიტანეს და „დინამო“ შემდგომ ეტაპზე გავიდა.

მერვედფინალში მეტოქე აღმოჩნდა ირლანდიის „უოტფორდი“. მოსალოდნელი იყო, რომ ქართველ ფეხბურთელებს ამ ბარიერის დაძლევა არ უნდა გასჭირვებოდათ. პირველი მატჩი სტუმრად, 22 ოქტომბერს „დინამომ“ მინიმალური ანგარიშით მოიგო. ერთადერთი გოლი შენგელიამ გაიტანა. განმეორებით მატჩში თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო. მატჩის მეორე ნახევარში, ჩვენებმა ოთხი გოლი გაიტანეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ორჯერ მეტოქის კარი აილო დარასელიამ, თითოჯერ ჩივაძემ და ჭილაიამ. თბილისელებმა მეოთხედფინალისკენ გაიკაფეს გზა. აქ მათ კენჭისყრამ ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ არგუნა. მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერი და სერიოზული გველოდა. ეს არც „კასტორია“ და არც „უოტფორდი“ იყო.




ყველას შესანიშნავად ესმოდა, რომ ლონდონში „დინამოს“ სერიოზული გამოცდა მოუწია. მით უმეტეს, რომ ეს იყო ახალ სეზონში „დინამოს“ პირველი მატჩი და ისიც ამ დონეზე.

პირველი მატჩი ლონდონში 1981 წლის 4 მარტს შედგა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გასვლითი მატჩი. პრინციპული შეხვედრა თბილისელებმა საუცხოოდ ჩაატარეს და უკვე ლონდონში მასპინძლებს შემდგომ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. ჩივაძემ, გუცაევმა და ორჯერ შენგელიამ ოთხი გოლი გაიტანეს მასპინძლის კარში. განმეორებით მატჩში, უკანასკნელ წუთებზე პირსონის მიერ თბილისელთა კარში გატანილ გოლს უკვე აღარაფრის შეცვლა შეეძლო. „დინამომ“ ნახევარფინალის საგზური გაინაღდა.

ნახევარფინალში თბილისელების მეტოქე კენჭისყრით უკვე გამოცდილი როტერდამის „ფეიენოორდი“. ევროპულ ასპარეზზე გამობრძმედილი ეს კლუბი 1970 წელს უკვე ფლობდა ჩემპიონთა თასს, ფინალში მან გლაზგოს „სელტიკი“ დაამარცხა. სხვათა შორის, შორეული 1960 წლის ივლისში „ფეიენოორდმა“ თბილისში გამართა ამხანაგური მატჩი და მარცხი იწვნია ანგარიშით 1-3. ორი გოლი გაიტანა ზაურ კალოევმა, ერთიც მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

პირველი მატჩი გაიმართა თბილისში, 8 აპრილს. ეს პრინციპული პაექრობა „დინამომ“ მაღალ დონეზე ჩაატარა და უკვე საკუთარ მინდორზე ჩაუყარა საძირკველი წარმატებას. სულაქველიძემ ორჯერ და გუცაევმა შეარხიეს მეტოქის კარის ბადე – 3-0 თბილისელთა სასარგებლოდ.

როტერდამში განმეორებითი მატჩის წინ, „ფეიენოორდი“ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მასპინძლებს მხოლოდ დიდი ანგარიშით გამარჯვება აძლევდათ ხელს. მატჩი უკიდურესად დაძაბული გამოდგა. ამას დაემატა ისიც, რომ ავსტრიელმა არბიტრმა არ ჩათვალა სტუმრების მიერ გატანილი სამი გოლი. ეს ნებისმიერ გუნდს გამოიყვანდა წონასწორობიდან, მაგრამ თბილისელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და საწადელსაც მიაღწიეს. „ფეიენოორდმა“ გაიმარჯვა 2-0, რაც იმას ნიშნავდა, რომ თბილისის „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში, პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ გაიკაფა გზა თასის მფლობელთა თასის ფინალში.

ფინალური მატჩის პერიპეტიებს დიუსელდორფში, იენის „კარლ-ცაისთან“ ფეხბურთის მოყვარული კარგად იცნობს და იგი მრავალგზის უნახავს სხვადასხვა თაობის გულშემატკივარს ტელეეკრანზე. 63-ე წუთზე გაშვებულმა გოლმა ქართველ ფეხბურთელებს ნირი არ წაუხდინა. გუცაევის მიერ სწრაფად გაქვითულმა გოლმა კი საძირკველი ჩაუყარა ქართველ ფეხბურთელა წარმატებას. ყველაფერი მატჩის მიწურულს ვიტალი დარასელიას შესანიშნავი გარღვევით და ბრწყინვალე დარტყმით დაგვირგვინდა. ის გოლი სავსებით სამართლიანად მიიჩნიეს XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან გოლად, 1981 წლის თბილისის „დინამო“ კი საუკუნის საუკეთესო გუნდად დასახელდა. ეს გასაგებიცაა. ამ თაობამ, ნოდარ ახალკაცის თაოსნობით, ქართული ფეხბურთი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა. ასეთი წარმატება მხოლოდ ორ საბჭოთა გუნდს ხვდა წილად. ორჯერ 1975 და 1986 წლებში ვალერი ლობანოვსკის კიევის „დინამოს“ და 1981 წელს ნოდარ ახალკაცის თბილისის „დინამოს“.

რა დასანანია, რომ ამ ღირსეული მოვლენის სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ, ნოდარ ახალკაცი, ეს ღვაწლმოსილი სპეციალისტი, გუნდს ჩამოაშორეს და შედეგმაც არ დააყოვნა. დილეტანტების ხელში მოხვედრილი „დინამო“, სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა და რის ვაივაგლახით ახერხებდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. ახალკაცმა კი დაამყარა კიდევ ერთი საინტერესო რეკორდი, რომელსაც მისი საფეხბურთო წარმატებების ფონზე, შედარებით ნაკლები ყურადღება მიექცა. მან ზედიზედ რვა წელი დაჰყო თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის პოსტზე.

**მერაბ კალანდაძე**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### სკანდალი კოუტუს გამო

პირველ დოპინგ-ტესტი რომის „ლაციოსა“ და პორტუგალიის ნაკრების მცველ ფერნანდუ კოუტუს ჯერ კიდევ 28 იანვარს ჩაუტარეს „ფიორენტინასთან“ მატჩის შემდეგ. მის ორგანიზმში ნორანდროსტერონი და ნორეტიკონოლონი დაშვებულზე მეტი რაოდენობით აღმოჩნდა. ამ დღეებში მეორე დოპინგ-ტესტმა ასევე დადებითი შედეგი მოიტანა. ახლა მას იტალიური „სერია A“-ს სადისციპლინო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა, თამაშებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. ახლა კოუტუს, თუ ყველაფერი დაუმტკიცდა, ფეხბურთიდან ხანგრძლივი ჩამოცილება ემუქრება. მისი ბედი ამ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უნდა გადაწყდეს.

კოუტუ იტალიის „სერია A“-ს მერვე ფეხბურთელია, რომელსაც მიმდინარე სეზონში დოპინგის ვამოყენების ბრალდება წაუყენეს.

### კანიჯას „დანდიში“ თამაში აღარ სურს

**33 წლის არგენტინელ თავდამსხმელ კლაუდიო კანიჯას აღარ სურს თამაში შოტლანდიურ „დანდიში“, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ნებისმიერ ფასად ცდილობს მის შენარჩუნებას.**

**კანიჯას „დანდის“ დატოვება იმიტომ უნდა, რომ სურს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში მონაწილეობა. რათა არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარსელო ბიელსას ყურადღება მიიპყროს, კანიჯა აპირებს ისეთ კლუბში თამაშს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე გამოდის, და არა მიყრუებულ „დანდიში“.**

**„დანდის“ ხელმძღვანელობას ყოველივე ეს ესმის, მაგრამ კანიჯას კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მთავრდება. თუ იგი კლუბს მაინც დატოვებს, დიდი ფულადი ჯარიმა უნდა გადაიხადოს.**

### მაჟორული ნოტა – რანაირად?

კარლოს რექსაჩი ერთხელ უკვე, 1996 წელს ასრულებდა „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით, იოჰან კრუიფის წასვლის შემდეგ. ახლა, რაც ლორენცო სერა ფერერი გუნდის ტექნიკურ დირექტორად გადაიყვანეს, იგი კვლავ დროებითი მწვრთნელია და აცხადებს, რომ შეეცდება სეზონის მაჟორულ ნოტაზე დამთავრებას.

რანაირად?

ამ სეზონში „ბარსელონამ“ წააგო ყველაფერი, რისი წაგებაც კი შეიძლებოდა. წინასწარი ეტაპიდან დატოვა ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასზე გადაინაცვლა, სადაც ნახევარფინალში დამარცხდა „ლივერპულთან“. ესპანეთის ჩემპიონატში უფერულად გამოდის და მეხუთე ადგილზეა. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის გარეთ დარჩეს, რაც ესოდენ სახელოვანი კლუბისათვის ძალზე დამამცირებელი რამ იქნება. ერთადერთი, რაც „ბარსელონას“ დარჩა, ეს სამეფო თასზე გამარჯვების იმედია. იქნებ ეს იგულისხმება სეზონის მაჟორულ ნოტაზე დამთავრებად?

### მოთმინებითა შენითა...

**სამარის „კრილია სოვეტოვი“, კარგად თამაშობს თუ ცუდად (უფრო ცხადია, კარგად, რა თქმა უნდა!), ახლა რუსეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია.**

**კომენტატორები ძალიან აქებენ კლუბის მესვეურებს, რომლებმაც არაერთი წინადადების მიუხედავად, თანამდებობიდა...არ გაანთავისუფლეს მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი, როცა გუნდს დაბალი შედეგები ჰქონდა. მოთმინებითა შენითა...**

### უკან იხევს

მას შემდეგ, რაც „სპარტაკი“ სასტიკად დამარცხდა რამენსკოეს „სატურნთან“, სადაც რომანცევის მიერ დაწუნებულმა ვალერი კეჩინოვმა ორი ლამაზი გოლი გაიტანა, ოლეგ რომანცევმა უკან დაიხია:

— ნაკრების კარები არავისთვის არ არის დახურული, თვით სარატოვისა და სამარის (ტიხონოვი, ბუშმანოვი) ფეხბურთელებისთვისაც კი.




### როცა ვინმე აკლია, ძოფი ახალ სქემას მიმართავს

შეიძლება წელს „ლაციომ“ ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნოს, მაგრამ ექსპერტები მაინც კმაყოფილებას გამოთქვამენ დინო ძოფის საქმიანობით. „ლაციომ“ თავიდან ვერ აიცილა მრავალრიცხოვანი ტრავმები, ხან ვინ აკლდა და ხან ვინ, მაგრამ ძოფი ყოველთვის ახალ-ახალ სქემას ირჩევდა, რომლებიც ყოველთვის სრულიად დასაბუთებულად გამოიყურებოდა და ამართლებდა კიდეც.

### „დეე რომანცევი თვით ღმერთმა განსაჯოს“

**ასე უპასუხა ვალერი კეჩინოვმა რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის ოლეგ რომანცევის ერთ, პირდაპირ რომ ვთქვათ, არც ისე კორექტულ შეფასებას. საქმე ის არის, რომ რომანცევმა ნაკრებიდან და მოსკოვის „სპარტაკიდან“ წასულ ფეხბურთელებს ვალერი კეჩინოვს (რამენსკოეს „სატურნი“), ანდრეი ტიხონოვსა და ევგენი ბუშმანოვს (სამარის „კრილია სოვეტოვი“) უკვე გამოყენებული მასალა უწოდა და დარწმუნებით განაცხადა, რომ მათ ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები.**

**რამდენად „უკვე გამოყენებული მასალაა“ ტიხონოვი და ბუშმანოვი, ამას მალე ვნახავთ. ჯერჯერობით მაინც ის ვთქვათ, რომ ისინი წარმატებით თამაშობენ ახალ კლუბში. აი კეჩინოვი კი მხოლოდ სიტყვებით არ დაკმაყოფილდა. რამენსკოეს „სატურნისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრაში (3-0) იგი, რომ იტყვიან, პირდაპირ ფრინავდა, მინდორზე საუკეთესო იყო და ორი ლამაზი გოლიც გაიტანა ყოფილი თანაკლუბელების კარში.**

**რამ მომკლა და ჩემმა ენამო...**

### გვარდიოლა „ტოტენჰემს“ ამჯობინებს

როგორც ლონდონის გაზეთი „მირორი“ იუწყება, „ბარსელონას“ კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა, რომელსაც ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი კატალონიურ კლუბთან, ამიერიდან „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“ გადადის, რომელთანაც თითქოს უკვე გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება.

კლუბში, რომელსაც ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გლენ ჰოდლი უდგას სათავეში, გვარდიოლა ოთხ წელს დარჩება და წელიწადში ხელფასის სახით ორნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სამორანომ „ქუდი დაიხურა“?

***თუ არ ვცდებით, მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფებში ყველაზე ძლიერი და საინტერესო მაინც სამხრეთამერიკული ასპარეზობაა. აქ ხომ 10 მონაწილეს შორის სამი მსოფლიო ჩემპიონია: ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებები.***



ახლა, როცა ნათამაშევია 12 ტური (რჩება 6), დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ერთადერთი, რომელიც თავს სავსებით მშვიდად გრძნობს, არგენტინის ნაკრებია. მარსელო ბიელსას გუნდს 29 ქულა აქვს და დარჩენილ ტურებში, რა უნდა მოხდეს ისეთი (ვთქვათ, წააგოს 4 მატჩი, რაც წარმოუდგენელია), რომ არგენტინელებმა რომელიმე საპრიზო ადგილი არ დაიკავონ. როგორც უკვე ვწერდით, არგენტინელებისათვის გარკვეულ მიღწევად (!) ჩაითვალა ფრე 3-3 ლა-პასში ბოლივიელებთან, სადაც ადგილობრივ პირობებთან შეჩვევას თურმე სჭირდება... 21 დღე! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არგენტინის ნაკრების დიდი უმრავლესობა (ბურგოსი, აიალა, სამუელი, სანეტი, სიმეონე, ვერონი, აიმარი, გალიარდო, კრესპო, კ. ლოპესი და სხვები) ევროპულ კლუბებში თამაშობს და ლა-პასში მხოლოდ წინა დღეებში ჩავიდნენ, ადვილი გასაგებია, რატომ იყო, რომ უსწრაფესი ფეხბურთელები ძლივს დააბიჯებდნენ მინდორზე. ყველაფერი ნათელია...

მოდით, გამოვიყვანოთ „გამოკლების პრინციპი“. გამოვრიცხოთ ვენესუელის (4 ქულა), ბოლივიის (10) და ჩილეს (10) ნაკრებები: მათ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას უკვე არავითარი შესაძლებლობა აღარ აქვთ. ჩილელებს იმედი უკანასკნელ, მეთორმეტე ტურში გადაეწურათ, როცა საკუთარ მინდორზე 51 ათასი მაყურებლის თვალწინ ურუგვაელებთან დამარცხდნენ. საინტერესოა, რომ ურუგვაელთა ახალგაზრდა მეკარემ ფაბიან კარინიმ ივან სამორანოს ორი „მკვდარი“ ბურთი მოიგერია. სამორანომ განაცხადა (ეს მას ადრეც არაერთგზის უთქვამს), რომ სტოვებს ნაკრებს. ამის საპასუხოდ, ჩილელების მთავარმა მწვრთნელმა პედრო გარსიამ წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კიდევ ერთხელ შეეცდება 34 წლის ფორვარდს ამ გადაწყვეტილებაზე ხელი აალებინოს. მით უმეტეს, რომ სამორანო არ აპირებს ფეხბურთის მიტოვებას, აგრძელებს თამაშს მექსიკის „ამერიკაში“.

საპრიზო ხუთეულში მოხვედრის სულ მინიმალური შესაძლებლობები თუ დარჩათ პერუელებს (12). ეს მაშინ, როცა 25 აპრილის მატჩში სან-პაულუში ბრაზილიელების წინააღმდეგ ეს ნაკრები მასპინძლებზე უკეთ გამოიყურებოდა. ახლა ბრაზილიელი კომენტატორები წერენ, რომ ემერსონ ლეაოს მორიგი შეცდომები მოუვიდა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა სათამაშოდ გამოიყვანა ერთბაშად 5 დებიუტანტი (მარიო ზაგალო მის ადგილზე შესაძლოა ერთსაც არ ათამაშებდა!): ალესანდრო, ლეომარი და ევერტონი — თამაშის დასაწყისიდანვე, მინეირო და ვაშინგტონი კი მეორე ტაიმიდან, საჭიროდ არ ჩათვალა რივალდოს მიწვევა. მართალია, პერუელებმა მიაღწიეს ფრეს — 1-1 (გოლი სტუმართაგან ჩინებული თავური დარტყმით გაიტანა ხუან პახუელომ), მაგრამ მათი სატურნირო მდგომარეობა მაინც კრიტიკულია. შესაძლოა, რაღაც მცირეოდენი პერსპექტივა მაინც გამოჩნდეს, თუ პერუელები საკუთარ მინდორზე მოუგებენ მომდევნო მატჩს ეკვადორელებს.

ახლა იმ ნაკრებებზე ვილაპარაკოთ, რომლებსაც ხუთეულში მოხვედრის მეტნაკლები შესაძლებლობა აქვთ. თავისი, შესაძლოა, უკანასკნელი შანსი გამოიყენა ურუგვაელთა ნაკრებმა სანტიაგოში გამარჯვების (1-0) შემდეგ. მას შემდეგ, რაც გუნდს გამოეთხოვა არგენტინელი მწვრთნელი დანიელ პასარელა, რაიმე უკეთესობა არ შეიმჩნევა. ურუგვაელებს ახლა 17 ქულა აქვთ. „სელესტას“ ახლა ერთი რამ თუ უშველის — უახლოეს მატჩში მონტევიდეოში, გინდა თუ არ გინდა, აუცილებლად უნდა დაამარცხოს ბრაზილიელები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით ექს-ჩემპიონებსაც ჰაერივით სჭირდებათ ქულები, გასაგებია, რა მნიშვნელობა ექნება ამ მატჩს.

ბოლო ტურში ხელი მოეცარათ კოლუმბიელებს, რომლებიც თამაშობდნენ ვენესუელის ნაკრებთან ქალაქ სან-კრისტობალში, სულ რაღაც 60 კილომეტრზე თავიანთი სამშობლოდან. გასაგებია, კოლუმბიელებს მრავალი ქომაგიც ახლდა. ვენესუელის გუნდი სამხრეთამერიკულ შეჯიბრებებში ყოველთვის უიმედო აუტსაიდერად ითვლებოდა, ახლაც უკანასკნელ ადგილზეა, მაგრამ შეუპოვრად იბრძვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ რონდონისა და არანგოს გოლების წყალობით მასპინძლები თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ამარცხებდნენ კოლუმბიელებს, მაგრამ გამარჯვება მაინც არ ეწერათ: ბედოიამ და ბონილიამ გაიტანეს ორი საპასუხო ბურთი: 2-2. ახლა კოლუმბიელებს 19 ქულა აქვთ და მეხუთე ადგილზე არიან. ამ ადგილზე დარჩენა, თუ გავითვალისწინებთ, ვინ უსწრებს მათ, კოლუმბიელებს სავსებით დააკმაყოფილებდათ. ცხადია, სხვა ნაკრებები ასე არ ფიქრობენ.

ის, რაც ბრაზილიის ნაკრებში ხდება (21 ქულა, მეოთხე ადგილი, 6 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, 22-11), ამ გუნდის ღრმა კრიზისზე ლაპარაკობს, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო საფრანგეთის ნაკრებთან იმ უიმედო წაგების შემდეგ. „ახლა აღარავის აქვს უსაზღვრო პატივისცემა ბრაზილიის ნაკრების მიმართ — განაცხადა რომარიომ — გამარჯვება ძალიან ძნელი გახდა. ამის მიუხედავად, ჩვენ ხომ მაინც ოთხეულში ვართ“.

მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს ეს ოთხეული ბრაზილიის ნაკრების მესვეურებსა და გულშემატკივრებს? ნიშანდობლივია, რომ პელე სულ უფრო ირონიულად ლაპარაკობს თავისი ყოფილი გუნდის შესახებ. რომ ვანდერლეი ლუქსემბურგო ვერაფერს გახდა, ეს ხომ ცხადია. ემერსონ ლეაოს ხელში მდგომარეობა ოდნავაც არ გამოსწორებულა. იგი ხან ვის იძახებს ნაკრებში, ხან ვის, მაგრამ უძლიერესად მაინც რომარიო რჩება. თუნდაც ვეტერანის ასეთი წამყვანი პოზიცია ნაკრებში კარგს არაფერს მოასწავებს. ახლა ბრაზილიურ პრესაში გაისმის ხმები, რომ ლეაო სასწრაფოდ უნდა მოაცილონ ნაკრებს. ვინ უნდა შეცვალოს?

თუ ბრაზილიაში ყველა აფორიაქებულია, სამაგიეროდ, თავიანთი ახლანდელი მდგომარეობით კმაყოფილი არიან პარაგვაელები (23 ქულა, მეორე ადგილი) და ეკვადორელები (22 ქულა, მესამე ადგილი). უკანასკნელ, XII ტურში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს კიტოში (40 ათასი მაყურებელი). ეს იყო უმძაფრესი მატჩი. ბრძოლამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მეტოქეები თავიდანვე ნერვებს ვეღარ იოკებდნენ. უკვე მე-19-წუთზე მინდვრიდან გააძევეს მასპინძლების მცველი აუგუსტო პოროსო. ამით კარგად ისარგებლეს პარაგვაელებმა და კარდოსომ გახსნა ანგარიში. აქ მოხდა ეკვადორელთათვის მეტად უსიამოვნო მოვლენა: დაშავდა და მინდორი დატოვა მათმა ლიდერმა ალექს აგინაგამ. ვინ იფიქრებდა ამის შემდეგ, რომ აგუსტინ დელგადოს ორი გოლის წყალობით ეკვადორელები, რომლებსაც არასდროს ჰყოლიათ ესოდენ ძლიერი ნაკრები, მაინც მოიპოვებდნენ სენსაციურ გამარჯვებას — 2-1. დელგადოს უკვე 7 გოლი აქვს გატანილი, ერთით ნაკლები, ვიდრე სნაიპერთა რიგებში პირველ ადგილზე მყოფ რომარიოს.

ახლა, 2 ივნისამდე, უნდა მოვიცადოთ. XIII ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ურუგვაი — ბრაზილია, არგენტინა — კოლუმბია, ბოლივია — ვენესუელა, პარაგვაი — ჩილე და პერუ — ეკვადორი. ვისთვის ეს შეხვედრები, შეიძლება, რიგითიც არის, მაგრამ ზოგისთვის ნამდვილად გადამწყვეტია.

**ბიჭი ბამრეკელი**

### ბაევიჩი ჯორიჩის ნაცვლად?

**როგორც იუგოსლავიური პრესა იუწყება, შეიძლება სულ ცოტა ხანში მილოვან ჯორიჩმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დაკარგოს, მის ნაცვლად კი დუშან ბაევიჩს ასახელებენ.**

**ბაევიჩი ახლო წარსულში ცნობილი იუგოსლავიელი თავდამსხმელია. ახლა იგი ბერძნულ პაოკს წვრთნის, რომელშიც ომარ თეთრაძე თამაშობს. — ჩემთვის დიდი პატივია იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელობა. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვოცნებობდი, როცა ქვეყანა ერთიანი იყო. მე უკვე 10 წელია საბერძნეთში ვცხოვრობ, ამ ქვეყნის მოქალაქე გავხდი, მაგრამ თუ იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელად მიმიწვევენ, აუცილებლად დავთანხმდები.**

**საინტერესოა, რომ ამას წინათ დუშან ბაევიჩი საბერძნეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად იყო დასახელებული გადამდგარი ვასილის დანიილის ნაცვლად. მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მაინც იანის კარასტასზე შეაჩერეს.**

# კარპოვი საბერძნეთს ეწვია

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი საბერძნეთს ეწვია, სადაც კუნძულ კრეტაზე ქ. რეტიმნოში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. შემდეგ იგი სწრაფ ჭადრაკში ორპარტიან მატჩში შეხვდა საბერძნეთის უძლიერეს მოჭადრაკე ქალ მარია კუვაცუს — 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონს ქალიშვილებს შორის.

პირველი პარტია თეთრებით კარპოვმა კი მოიგო, მაგრამ მეორეში მარია კუვაცუმ რევანში აიღო.

# „მესამე სამყაროს“ დასაპყრობად

ევროპელი დიდოსტატები ამ ბოლო ხანებში ძალიან ცდილობენ „შორეული სივრცეების“ დაპყრობას. დიდოსტატმა ალექსანდრ ვოლჟინმა (რუსეთი) შარშან გაიმარჯვა კაპაბლანკას მემორიალში კუბაში, ამას წინათ კი ითამაშა IX კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში ბანგლადეშში. აქ მან I-II ადგილები გაიყო ცნობილ ესტონელ დიდოსტატ იან ელვესტთან (8,5 — 8,5 ქულა ცამეტიდან).

# როცა გუნდს ქეთევან კახიანი წაუძღვა

ქეთევან კახიანი წარმატებით უძღვება როგორც საკლუბო გუნდს გერმანიის საჭადრაკო ბუნდესლიგაში, ასევე ეროვნულ ნაკრებსაც, სადაც ცხადია, პირველ დაფაზე თამაშობს. გერმანიის ქალთა ნაკრებს ევროპაში კარგი შედეგები აქვს, ეს კია, რომ ვერაფერს აღწევს თავის ტრადიციულ მეტოქესთან — ინგლისის ნაკრებთან. 1998 წელს დრეზდენში ანგარიშით 27,5:22,5 გაიმარჯვეს სტუმრებმა. ახლახან ქ. ბატლებიში (ინგლისი) მატჩი ზუსტად ასეთივე ანგარიშით დასრულდა, ამჯერადაც ინგლისელების გამარჯვებით.

**ჩოგბურთი.** შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი ბერლინში მიმდინარე I კატეგორიის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ 185 ათასი დოლარია, მეოთხედფინალში გავიდა მოუგო რა ფრანგ ნატალი დეშს – 6:3, 6:1. გერმანელმა მარიამ შნიცერმა ჩეხ დენისა ხლადკოვას აჯობა – 7:5, 6:3.



# ნბა

გუშინ გაიმართა მეოთხედფინალის სერიის პლეი-ოფის მატჩები. „სან-ანტონიომ“ ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაანადგურა „დალასი“, მოუგო რა ამჯერად 104:90; „ფილადელფიამ“ მეორე საშინაო მატჩში სძლია „ტორონტოს“ 97:92 და სერიაში ანგარიში გაათანაბრა — 1:1. შეგახსენებთ, რომ შეხვედრები ოთხ გამარჯვებამდე გრძელდება.

ალენ აივერსონმა „ტორონტოსთან“ შეხვედრაში 54 ქულა მოიპოვა და პლეი-ოფის მატჩების რეკორდსმენი გახდა თავის კლუბში. ასოციაციის ისტორიაში, პლეი-ოფში, მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა შეძლო მეტი ქულის მოგროვება ერთ მატჩში. ეს იყო მაიკლ ჯორდანი, რომლის რეკორდი დღემდე ხელუხლებელია — 55 ქულა!

# რახმანი ცდილობს თავიდან აიცილოს მატჩ-რევანში

28 წლის ხასიმ რახმანი უკვე რამდენიმე დღეა ზეიმობს თითქოსდა უძლეველ ლენოქს ლიუისზე გამარჯვებას, რის შემდეგ იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა WBC და IBF-ს ვერსიებით. ამასთან, კომენტატორები ფიქრობენ, რომ რახმანი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს ამ წოდებებს. რამდენიმე თვის შემდეგ მას იქამდე დასწევენ უკან, სადაც ეკუთვნის კიდეც ადგილი — უძლიერესი მძიმეწონოსანი მოკრივეების ათეულის შუაგულში.

ვინ წაართმევს მას ჩემპიონის წოდებას? პრეტენდენტი, ექსპერტების აზრით ორია: ისევ ის ლენოქს ლიუისი და ლეგენდარული მაიკ ტაისონი.

„რკინის მაიკი“ მყისვე გამოეხმაურა ლიუისის ასეთ მოულოდნელ მარცხს იოჰანესბურგის „კარნივალ-სიტიში“ როგორც ჟურნალისტები ფიქრობენ, ეს შემთხვევა მას აუცილებლად გაახსენებდა საკუთარ ფიასკოს 1990 წლის ზამთარში ტოკიოში, სადაც ტაისონს სრულიად მოულოდნელად სძლია თითქოსდა უიმედოდ განწირულმა ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასმა. ეს ამბავი დიდებულად გამოიყენა ევანდერ ჰოლიფილდმა, რომელმაც მატჩში გამოიწვია დუგლასი, იოლად დაამარცხა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

ახლა ჰოლიფილდის როლის შესრულება უკვე ტაისონს სურს. მან დაუყოვნებლივ მიმართა რახმანს, რათა დაიწყოს მოლაპარაკება მატჩის შესახებ, მით უმეტეს, რომ წინასწარ მიიღო ცნობა — ამის საწინააღმდეგო ახალ ჩემპიონს არაფერი ექნება. აქ, ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, რახმანს დაახლოებით ასეთი გეგმა შეიძლება ჰქონდეს. ახალ მატჩს მსოფლიო პირველობაზე იგი, მაინც თავიდან ვერ აიცილებს. რახან ასეა, სჯობს ისევ ამერიკელთან დამარცხდეს, ვიდრე წოდება ინგლისის წარმომადგენელს დაუბრუნოს.

რახმანისა და ტაისონის მატჩის გამართვის შესაძლებლობამ ძალზე აალელვა ლენოქს ლიუისი. მის სასარგებლოდ ხომ კონტრაქტმა უნდა იმოქმედოს, სადაც ნათლად წერია, რომ იოჰანესბურგის შეხვედრიდან 5 თვის შემდეგ რახმანი ვალდებულია ლიუისს მატჩ-რევანშში შეხვდეს. ამავე კონტრაქტში აღნიშნულია, რომ შეხვედრას ზუსტი თარიღი სწორედ რომ ლიუისმა უნდა დაასახელოს.

დასაწყისში ლიუისმა 21 ივლისი დაასახელა, შემდეგ უკვე 18 აგვისტო. ლიუისის მენეჯერ ადრიან ოგუნის სიტყვით, მოლაპარაკება რახმანის მხარესთან დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს.

სულ სხვას ამბობს რახმანის მხარე. აი, რა განაცხადა მისმა მენეჯერმა: „ჩვენ თანახმანი ვართ კვლავ შევხვდეთ ლიუისს, მაგრამ, ამავე დროს, დაგეგმილი გვაქვს მოლაპარაკება ტაისონთანაც. თუ ტაისონმა უკეთესი პირობები შემოგვთავაზა, სწორედ მასთან ვამჯობინებთ შეხვედრას.

# შოთა ჭანტურია



**გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორი, ქართველ მედიკოსთა შორის ადამიანის ანატომიაში აღიარებული პედაგოგი და ღვაწლმოსილი მეცნიერი შოთა არისტრახოს ძე ჭანტურია.**

**დაიბადა 1913 წელს. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებული იყო ანატომიასა და მორფოლოგიაში პედაგოგიურ და მეცნიერული მუშაობის განვითარებასთან. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა იწყება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში 1938 წლიდან. 1941-1947 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია როგორც ექიმი. 1947 წლიდან მუშაობას აგრძელებს სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე პედაგოგად და პარალელურად მორფოლოგიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-მუშაკია. 1952 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ანატომიის კათედრაზე, დოცენტის თანამდებობაზე. 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1973 წლიდან კათედრის პროფესორის თანამდებობაზეა. 1984-1996 წლებში იყო ანატომიის კათედრის გამგე, უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ამავე კათედრის პროფესორად.**

**ბატონი შოთა გამოირჩეოდა, როგორც მაღალკვალიფიციური პედაგოგი და გულისხმიერი აღმზრდელი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. არის ორი მონოგრაფიის და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.**

**მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში ბატონი შოთა ჭანტურიას მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

დაკრძალვა კვირას, 13.V 14 საათზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას II კვ. V კ.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

შოთა ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




### 11 მაისი, პარასკევი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ევროპა. „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***ESPN.*** კრივი. ლეგენდარული მუჰამედ ალი (08.30, 21.00), ფეხბურთი: ინგლისის (12.00), აშშ-ის (15.00), იტალიის (23.00) ჩემპიონატები. ცხენოსნობა (03.30), კალათბურთი. ნბა, პლეიოფები, პირდაპირი (04.30, 05.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (15.00), თანამედროვე ხუთჭიდი, მსოფლიო თასი (16.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (16.30, 0.30), ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ფეხბურთი (20.05), ჰოლანდიის (20.50; 23.35), ესპანეთის (1.20) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი-ევროლიგა, ფინალი. „კინდერი“ – „ტაუგრესი“ (15.30), ნბა, მიმოხილვა (17.15), ტაილანდური კრივი (17.45).

### 12 მაისი, შაბათი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჭადრაკში მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან (17.00), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.45), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა, პლეიოფები (12.30, 13.00), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მატჩი (23.30), „რაგბის სამყარო“ (03.00), ***EUROSPORT.*** კალათბურთი. ევროლიგა (12.30), აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (15.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13.15, 15.45), ევროპის ქვეყნების (15.00), იტალიის ან ესპანეთის (23.25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს პლეიოფები (11.40, 18.50), კრივი. „დიდი რინგი“ (21.40).

### 13 მაისი, კვირა

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგურირ მატჩი თბილისის „დინამო“ – იენის „კარლ ცეისი“ (20.30), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე“ (11.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (15.30), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (20.30). კალათბურთი. ნბა-ნახევარფინალები, პირდაპირი (21.30). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.55, 23.25), გერმანიის (15.35), საფრანგეთის (17.15), ჰოლანდიის (20.55), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ორთაბრძოლები DRAKA-ს ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონატი (18.25), კალათბურთი. ნბა. პლეიოფები (21.30), ტაილანდური კრივი (2.15).




# კროსვორდი № 36

**თარაზულად:** 5. მშვილდოსნობის წინამორბედი, 6. იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 7. ცნობილი ქართველი ვეტერანი ფალავანი ბ/რ ჭიდაობაში, 8. მწვერვალი კავკასიონზე, 9. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მშვილდოსნობაში, 10. მძლეოსნობის იარაღი, 14. სპორტული შეჯიბრების შედეგი, 15. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 17. საფეხბურთო სკოლა თბილისში, 18. სავარჯიშო იარაღი — ორბირთვი, 20. შედეგი ჭადრაკში, 24. ძალოსნობის ინვენტარი, 25. შეჯიბრება, როცა მეტოქეები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს.

**შვეულად:** 1. ქართველი ძიუდოისტი, 2. დისტანცია ანუ... 3. სასროლეთი, 4. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი, 11. ფრანგი ფეხბურთელი, 12. ცნობილი შვედი მოჭადრაკე ქალი, 13. ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 15. ალპინისტის ინვენტარი, 16. შეჯიბრების დასაწყისი, 19. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 21. მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მცველი, 22. ცნობილი ჩოგბურთელის გვარი, არტურ... 23. გადაცემა გუნდურ თამაშში.

### №35 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. უშბა, 4. ქეცბაია, 7. აეკი, 9. შატილი, 10. კაენი, 13. ბავარია, 15. ეივე, 17. ეტლი, 19. გალათასარაი, 20. ბრაგა.

**შვეულად:** 1. მარში, 3. შანიძე, 4. ქულა, 5. ბალავაძე, 6. ისინდი, 8. კეტაშვილი, 11. ნარდი, 12. ლანსი, 14. აფიშა, 16. „ბარი“, 18. ტუა.

# საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)




**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**
1. ლd6! 1. ...მf6 2. ლ:e5+ მფ:e5 3. მc6X.
1. ...მb6 2. ლ:c5+ მფ:c5 3. მe6X.
1. ...მb3+ 2. მ:b3+ მფc4 3. კd3X.
1. ...ef 2. ლ:f4+ – 3. კe3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი რინე ხიდამონიძე.